



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი  
მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

ირინა ხაჯიბეგოვი

ფინანსური ანალიზი და კომპანიის განვითარების  
სტრატეგია შპს „ზოდი პლიუსი“-ს მაგალითზე

ნაშრომის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჯიქია

თბილისი

2019

## **Annotation**

Severe competition conditions in a business field make enterprises improve their achievements on the product market, for which financial stability is necessary.

An enterprise ought to increase the production of competitive goods in order to accomplish success and stability, which is impossible to achieve without financial sustainability.

Financial sustainability is condition of the enterprise which guarantees solvency.

In such a case, a firm (an enterprise) invests in assets at the expense of its income and repays debts by the due date.

Based on this, it's necessary to analyze financial condition of the enterprise, for which financial sustainability assessment is used.

It's necessary to pass through particular stages, such as estimating and analyzing absolute and relative indicators, identifying existing factors and their qualitative and quantitative impact and, most importantly, making managerial decisions in order to increase financial sustainability.

The analysis of financial sustainability enables us to find out the level of financial independence of the enterprise and if its financial condition is sustainable, also, to create forecasts for the future and take actions to improve financial sustainability of the enterprise.

## ანოტაცია

ბიზნესის სფეროში არსებული უმკაცრესი კონკურენციის პირობები საწარმოთა უმრავლესობას უბიძგებს შეინარჩუნონ და წინ წასწიონ თავიანთი მიღწევები პროდუქციის ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა. სწორედ საწარმოთა წარმატებებისა და სტაბილურობის საფუძველია კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გაზრდა, რაც შეუძლებელია მიღწეული იქნას ფინანსური მდგრადობის გარეშე.

ფინანსური მდგრადობა საწარმოთა ფინანსების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს გადახდისუნარიანობას. ასეთ შემთხვევაში ფირმა (საწარმო) საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ფარავს დაბანდებებს აქტივებში და დაწესებულ ვადებში კრედიტორულ ვალდებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზება აუცილებელია, ამისათვის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ფინანსური მდგრადობის შეფასება. რა თქმა უნდა აუცილებელია გარკვეული ეტაპების გავლა, როგორცაა, მაგალითად, ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი, მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენის განსაზღვრა და რაც მთავარია მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ფინანსური მდგრადობის ამალღების მიზნით.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი საშუალებას იძლევა დავადგინოთ რამდენად დამოუკიდებელია საწარმო ფინანსური თვალსაზრისით და მდგრადია თუ არა მისი ფინანსური მდგომარეობა. გაკეთდეს პროგნოზი მომავლისათვის და შემუშავდეს ღონისძიებები მომავალში საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისათვის.

## სარჩევი

ანოტაცია .....	3
შესავალი .....	5
თავი I ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი.....	8
1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია .....	8
1.2. ფინანსური მდგომარეობის შეფასება: ინფორმაციის წყაროები და ჩატარების მეთოდოლოგია .....	14
თავი II ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხები .....	28
2.1. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის თეორიული მიმოხილვა.....	28
2.2. საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი .....	35
2.4. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ანალიზი .....	53
2.5. საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი .....	58
2.6. გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკა.....	67
დასკვნა .....	74
შპს „ზოდი პლიუსი“-ს დანართები.....	78
გამოყენებული ლიტერატურა.....	81

## შესავალი

ყველა საწარმოს ფუნქციონირების მთავარი მიზანი არის მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღება და, შესაბამისად, საწარმოს მესაკუთრეების კეთილდღეობის ამაღლება. საწარმოს საქმიანობის ფუნქციონირების შეფასება შეგვიძლია მოვახდინოთ ფინანსური ანალიზის საშუალებით. საწარმოებს მუდმივად აქვთ განვითარების და გაზრდის სურვილი, რომლის წინამორბედია საწარმოს კარგი ფინანსური შედეგი, რათა საწარმომ შეძლოს დივიდენდების გაცემის შესაბამისად კაპიტალის რეინვესტირება, ამას კი საწარმო, მხოლოდ კარგი ფინანსური შედეგით უზრუნველყოფს.

ფინანსური ანგარიშგებები ითვალისწინებს კომპანიის წარსული წლების ანგარიშს, ამჟამინდელ ფინანსურ ძალას და გვაძლევს ფირმის მომავალი ფინანსური პოტენციალის ანალიზის საშუალებას. ფინანსური ანგარიშგების განხილვა უკეთესი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებს გვაძლევს. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი პროფესიონალების მიერ იქნას ჩატარებული და საინფორმაციო წყარო დაზუსტებული იყოს. შესაბამისდ, საწარმოს ფინანსური ანალიზის საკითხი ძალიან აქტუალური თემაა კომპანიებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის კვლევის საგანია ფინანსური ანალიზის ეტაპების დეტალური მიმოხილვა. ხოლო მთავარი ამოცანა არის ფინანსური ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება, ძირითადი საინფორმაციო წყაროების განსზღვრა, მასზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორების გამიჯვნა და სრულყოფის მიმართულებების ჩამოყალიბება.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილულია საწარმოს ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი.

ხოლო ნაშრომის მეორე ნაწილში საუბარია ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფის საკითხებზე და ასევე განვიხილავთ კომპანიის ფინანსური მდგრადობის არსს, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რამდენად დამოუკიდებელია კომპანია ფინანსური თვალსაზრისით და მდგრადია თუ არა მისი ფინანსური მდგომარეობა.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი ინდიკატორებია ლიკვიდურობისა და რენტაბელობის მაჩვენებლები. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ინფორმაციის სისრულესა და უტყუარობაზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გარე ინფორმაციის წყაროებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მონაცემები, რომლებიც პერიოდულად ქვეყნდება.

ფირმები, საბანკო და სადაზღვევო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კომპანიათა ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მონაცემთა პაკეტს. წლიური ანგარიშგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ფინანსური ანგარიშგებაა, მისი სამი ძირითადი ფორმით, ბალანსით, მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებით. ეს ფორმები შესაძლებლობას იძლევა მოვახდინოთ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური შეფასება.

ფინანსისტ-ანალიტიკოსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ლიკვიდურობის ანალიზი. მთავარი საკითხია შეძლებს თუ არა კომპანია საკუთარი ვალდებულებების დაწესებულ ვადაში დაფარვას, რა პრობლემები ექმნება მას ამ ვალდებულებათა შესრულების პროცესში? ლიკვიდურობის სრული ანალიზი მოითხოვს ფულადი სახსრების ბიუჯეტის შედგენას, რის საფუძველად გამოყენებულ უნდა იქნეს ფულადი და სხვა მიმდინარე აქტივების (საბრუნავი საშუალებების) სიდიდის მოკლევადიან პასივებთან (მიმდინარე ვალდებულებების) თანაფარდობის კოეფიციენტების ანალიზი. სწორედ ეს ანალიზი წარმოადგენს ლიკვიდურობის შეფასების სწრაფ და საიმედო საშუალებას.

კვლევითი პროექტის კვლევის მიზანია განვსაზღვროთ ლიკვიდურობის მართვის როლი ორგანიზაციაში. ამასთან, გადმოვცეთ მისი არსი და მნიშვნელობა. ასევე, გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ფირმის ლიკვიდურობის განსაზღვრაზე. შევაფასოთ, თუ რამდენადაა ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის მართვა დამოკიდებული საბრუნავი კაპიტალის სწორი მენეჯმენტის პრინციპებზე.

კვლევითი პროექტის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია, როგორც ეკონომიკური მეცნიერების კლასიკოსთა ფუნდამენტური გამოკვლევები, ასევე

თანამედროვე გამოჩენილ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს ეროვნული და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურა, პუბლიკაციები, კონფერენციის მასალები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.

კვლევითი პროექტის სტრუქტურა. კვლევითი პროექტი შედგება შესავლისაგან, ორი თავისაგან და ხუთი ქვეთავისაგან. კვლევით პროექტს თან ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

# თავი I ფინანსური ანალიზი, როგორც კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ინსტრუმენტი

## 1.1 ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს ეფექტიანობას მნიშვნელოვნად განაპირობებს ფინანსური რესურსების გონივრული მართვა. ნებისმიერი საწარმო თავისი საქმიანობის პროცესში აუცილებლად განსაზღვრავს იმ აქტივების ოპტიმალურ ოდენობას, რომელიც მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებისათვის არის საჭირო, ასევე განიხილავს ამ აქტივების ფორმირების წყაროებსა და მათ ოპტიმალურ შედგენილობას, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს გადახდისუნარიანობასა და ფინანსურ მდგრადობას.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში დიდ როლს ასრულებს ფინანსური ანალიზი. კერძოდ, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზი. ფინანსური მდგომარეობა საწარმოს ფინანსური, მიმდინარე საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის მაჩვენებელთა ერთობლიობაა, რომელიც ასახავს საწარმოს რესურსების ფაქტიურ ოდენობას, მათ განთავსებასა და გამოყენებას. ფინანსური მდგომარეობის ქვეშ იგულისხმება საწარმოს უნარი, დააფინანსოს თავისი საქმიანობა. ამრიგად, საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი უზრუნველყოფა ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებით, ამ რესურსების განთავსების მიზანშეწონილობა და გამოყენების ეფექტიანობა, სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ფინანსური ურთიერთობა, გადახდისუნარიანობა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ფინანსური მდგომარეობა ხასიათდება მისი ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებით, ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის შეფასების, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლებით, საწარმოს ბალანსის სტრუქტურის ანალიზით.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზი ძალზე კომპლექსურია და მას გარკვეული სირთულეები შეიძლება ახლდეს, კერძოდ, ეს შეიძლება იყოს შესასწავლი საკითხების სიმრავლე, ფინანსური ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ანალიზი მით უფრო კომპლექსურია, რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია. თუ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, უნდა მოინახოს ალტერნატიული ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების გზები. ასევე, ფინანსურ მდგომარეობაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები და მათი დაზუსტება კი საკმაოდ რთული პროცესია.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სპეციფიურ მიზნებს წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორცაა:

- ✓ მომგებიანობა - ანუ უნარი, მიიღოს შემოსავალი და შეინარჩუნოს ზრდის ტემპი, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში
- ✓ გადახდისუნარიანობა - კრედიტორების წინაშე გრძელვადიან პერიოდში ვალდებულებების დაფარვის უნარი, ანუ კომპანიის არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი
- ✓ ლიკვიდურობა - აქტივების ფულად ქცევის უნარი
- ✓ მდგრადობა - იმიჯი ინვესტორებისა და კრედიტორების წინაშე, მისი სიცოცხლისუნარიანობა. ბაზარზე პოზიციების განმტკიცება და ახალი ბაზრების ათვისება, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, პერსონალის მოტივაციის ამაღლება.

დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია შესაბამისი ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, რაც საწარმოს წარმატებების საწინდარია. ასეთი სტრატეგიის არ არსებობისას დაბალია დასახული მიზნების მიღწევის ალბათობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეფასდეს, როგორც მდგრადი(მყარი), არამდგრადი და კრიზისული. თუ სააწარმოს აქვს უნარი, დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა გაფართოებული მასშტაბით, მას მყარი ფინანსური მდგომარეობა გააჩნია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დამოკიდებულია მის საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობაზე. თუ საწარმოს მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის გეგმები წარმატებით სრულდება, ეს განაპირობებს საწარმოს კარგ ფინანსურ მდგომარეობას და პირიქით, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის

გეგმების შეუსრულებლობისას მცირდება რეალიზაციიდან ამონაგები და შესაბამისად მოგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა.

მყარი ფინანსური მდგომარეობა თავის მხრივ დადებითად მოქმედებს ბიზნეს გეგმით განსაზღვრული საწარმოო პროგრამის შესრულებასა და საჭირო რესურსებით საწარმოს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების ოპტიმალური ოდენობით მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფის, საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვის, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის ოპტიმალური თანაფარდობის დადგენისა და უფრო ეფექტიანი გამოყენებისაკენ.

ფინანსური საქმიანობის მთავარ მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება თუ სად, როდის და როგორ გამოიყენოს საწარმომ ფინანსური რესურსები წარმოების ეფექტიანი განვითარების და მაქსიმალური მოგების მისაღებად.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოს გაკოტრების თავიდან აცილებისა და ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ფინანსების გონივრული მართვა, კაპიტალის სტრუქტურის შესწავლა, საკუთარი და ნასესხები წყაროების ოპტიმალური ხვედრითი წილის დადგენა. ამისათვის საჭიროა საბაზრო ეკონომიკის ისეთი კატეგორიების შესწავლა, როგორცაა: საწარმოს საქმიანი აქტივობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა, საწარმოს კრედიტუნარიანობა, ფინანსური მდგრადობა, უსაფრთხოება, რისკის ხარისხი. ამ საკითხების შესწავლა შესაძლებელია სწორედ ფინანსური ანალიზის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, და მისი შედეგების საფუძველზე ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ ოპტიმალური გადაწყვეტილებები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია, ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია როგორც კრედიტორებისა და ინვესტორებისათვის, ასევე სხვადასხვა ბიზნეს გადაწყვეტილებათა მისაღებად. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო და სრულყოფილი ინფორმაციის მიღება კრედიტორებსა და ინვესტორებს საშუალებას აძლევს გააკეთონ სამომავლო დაინტერესების პროგნოზები.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები ასევე აუცილებელია კომპანიის მენეჯერებისათვის, მმართველი რგოლებისათვის და აქციონერებისათვის მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად. აქციონერებს, სამთავრობო ორგანიზაციებს, საგადასახადო ინსპექციებს, სახელისუფლებო ორგანოებს, კრედიტორებს აქვთ თავიანთი დამოკიდებულება კომპანიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი, ხოლო მენეჯერებს აქვთ პასუხისმგებლობა, უპასუხონ მათ კითხვებს ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური მდგომარეობის ანალიზი უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს ყოველი დაინტერესებული მხარისათვის.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზით ვლინდება ის ფაქტორები და პრობლემები, რომელმაც შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფინანსური სტაბილურობა. ფინანსური მდგომარეობის ანალიზი იძლევა საშუალებას განისაზღვროს კომპანიის ფინანსური შესაძლებლობები და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზები. აღნიშნულისათვის კი აუცილებელია სათანადო სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი მეთოდის გამოყენება.

სიტყვა სტრატეგია ბერძნული სტრატეგიადან წარმოიშვა, რაც მხედართმთავრის ხელოვნებას ნიშნავს. ზოგადი გაგებით სტრატეგია წარმოადგენს გრძელვადიან პროგნოზებზე დამყარებული დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის ხელოვნებას. იგი რთული მიზნების მიღწევის ხერხია ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ანუ სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება დასახული მიზნების მიღწევის საშუალებათა გამოყენების ხერხი, რომელსაც თან ახლავს გადაწყვეტილებათა მიღებისათვის საჭირო წესების ნაკრები და შეზღუდვები.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს სტრატეგიის ორი განსხვავებული განმარტება.

პირველი განმარტების თანახმად, სტრატეგია არის ზოგიერთი მიზნის მიღწევის კონკრეტული გრძელვადიანი გეგმა. სტრატეგიის შემუშავება კი არის მიზნის ძიების და გრძელვადიანი გეგმის შედგენის პროცესი.

მეორე განმარტების თანახმად, სტრატეგიის ქვეშ იგულისხმება საწარმოს განვითარების ხარისხობრივად განსაზღვრული მიმართულება, ანუ სტრატეგია

ხასიათდება, როგორც საქმიანობის არჩეული მიმართულება, რომელმაც საწარმო შეიძლება მიიყვანოს მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევამდე.

რაც შეეხება ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიას, ეს არის ზოგადი კონცეფცია საწარმოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის, ამ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის, საწარმოს მდგრადობის, გადახდისუნარიანობის დადგენის, ფინანსური პრობლემების გადაჭრის ღონისძიებათა დასახვისა და ამისათვის საჭირო რესურსების ოპტიმალური განაწილების შესახებ.

ჩვეულებრივ, სტრატეგია შემუშავდება წინასწარ, კონკრეტდება პროექტებსა, პროგრამებსა და პრაქტიკულ მოქმედებებში და რეალიზდება მისი შესრულების პროცესში. სტრატეგიის ხშირად შეცვლა და კორექტირება არ ხდება, ამიტომ მის ფორმულირებას ზოგადი სახით ახდენენ. ამავე დროს, ზოგჯერ ჩნდება ახალი გაუთვალისწინებელი გარემოებანი, რომელიც ვერ თავსდება სტრატეგიის პირვანდელ კონცეფციაში. ამ გარემოებებმა შეიძლება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებით შექმნან განვითარების ახალი პერსპექტივები, ან პირიქით, გათვალისწინებულ პოლიტიკასა და მოქმედებათა გეგმაზე უარყოფითი გავლენა იქონიონ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირვანდელი სტრატეგია არარეალიზებული ხდება და საწარმო გადადის გადაუდებელი სტრატეგიული ამოცანების განხილვასა და ფორმულირებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია საშუალებას იძლევა მოხდეს ძალების კონცენტრირება იმ გადაწყვეტილებათა ვარიანტების მიღებაზე, რომელიც არ ეწინააღმდეგება დასახულ მიზნებს. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის დასრულებისა და დასკვნების გაკეთების შემდეგ, ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგია, როგორც მიმართულება და მიზნის მიღწევის საშუალება წყვეტს თავის არსებობას. ახალი მიზნების დასახვა დღის წესრიგში აყენებს ახალი სტრატეგიის შემუშავების საკითხს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევის კონკრეტული მეთოდი და ხერხები ტაქტიკას წარმოადგენს. ტაქტიკის ამოცანაა ოპტიმალური გადაწყვეტილებებისა და მოცემულ საწარმოსა და მოცემულ სიტუაციაში მისაღები მეთოდისა და ხერხების შერჩევა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის პროცესში ფინანსური ანალიზის სამსახურის ყოველი დონე ახდენს განსაზღვრული ამოცანების გადაწყვეტას და ანხორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. გადამწყვეტ როლს ფინანსური ანალიზის სამსახურის ხელმძღვანელი ასრულებს. მისი საქმიანობა სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში შეიძლება შემდეგი ეტაპების სახით იქნეს წარდგენილი:

- საწარმოს თავისებურებათა, მიზნებისა და შემუშავებული სტრატეგიის სიღრმისეული შესწავლა. სტრატეგიული გეგმის იდეების და მიზნების არსის ანალიზის სამსახურის თანამშრომლებამდე დაყვანა სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში მათი ჩართვისა და პირობების მომზადების მიზნით;
- ანალიზის ჩამტარებელთა რესურსების ეფექტიანი გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება. რესურსების შეფასება და განაწილება. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- აუცილებელი ცვლილებების შეტანა, რომელთა გარეშე არ შეიძლება სტრატეგიის რეალიზაცია;
- სტრატეგიული გეგმის კორექტირება იმ შემთხვევაში, თუ ამას ახლადშექმნილი გარემოებანი მოითხოვს.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზს ატარებს ეკონომიკური ანალიზის შესაბამისი სამსახურის ორგანიზებული და კვალიფიციური ჯგუფი, დამოუკიდებელი აუდიტორი, დაქირავებული კონსულტანტი, ან ფინანსური ანალიტიკოსი.

## 1.2. ფინანსური მდგომარეობის შეფასება: ინფორმაციის წყაროები და ჩატარების მეთოდოლოგია

ფინანსურ მდგომარეობაში იგულისხმება საწარმოს უნარი დააფინანსოს თავისი საქმიანობა. იგი ახასიათებს, თუ როგორ არის საწარმო უზრუნველყოფილი ფინანსური რესურსებით, გვიჩვენებს მათი განთავსების მიზანშეწონილობას, გამოყენების ეფექტიანობას, გადახდისუნარიანობასა და ფინანსური მდგრადობას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მთავარი მიზანი არის მოცემული მომენტისათვის არსებული და წარსული მდგომარეობის ობიექტური შეფასება და ამასთანავე სამომავლოდ საწარმოს პოტენციალის გაზრდის სტრატეგიის შემუშავება.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა განისაზღვრება მისი წარმოების შედეგიანობით, კომერციული და ფინანსური მოღვაწეობით. თუ საწარმოო და ფინანსური გეგმები წარმატებით სრულდება, ეს დადებითად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. და, პირიქით, პროდუქციის რეალიზაციისა და საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის შედეგად, იზრდება პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება, მცირდება ამონაგები, უარესდება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და გადახდისუნარიანობა.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა შეილება იყოს სამი სახის: მდგრადი, არამდგრადი და კრიზისული.

საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, დადებით გავლენას ახდენს საწარმოო გეგმების შესრულებასა და საწარმოს აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფაზე. ამიტომ ფინანსური საქმიანობა, როგორც სამეურნეო საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, მიმართულია ფულადი რესურსების გეგმაზომიერი მიღებისა და ხარჯვის უზრუნველყოფისაკენ, საანგარიშგებო დისციპლინის შესრულების, კერძო და ნასესხები კაპიტალის პროპორციების დაცვისა და მათი ეფექტური გამოყენებისკენ. თუ საწარმოს შესწევს უნარი დროულად გადაიხადოს გადასახადები, დააფინანსოს თავისი საქმიანობა წარმოების გაფართოების საფუძველზე, ეს უკვე საწარმოს კარგ ფინანსურ მდგომარეობაზე მიუთითებს.

ფინანსური ანალიზის ჩატარება სამი საფეხურის გავლას მოითხოვს, ესენია:

1. მოსამზადებელი ეტაპი

2. ინფორმაციის ანალიზური დამუშავება

3. ანალიზის დასკვნები და რეკომენდაციები

მოსამზადებელ ეტაპზე ხდება საწარმოს დეტალური შესწავლა, მისი წარმოების თავისებურებების გაცნობა, შეისწავლება რა სახის მომსახურებას ეწევა, რა პროდუქტს აწარმოებს, როგორია მისი ტექნიკური და ტექნოლოგიური თავისებურებები, მართვის ორგანიზაცია, სტრუქტურული ერთეულები და ა.შ. ამ ეტაპზე ხდება მიზნების ჩამოყალიბება, გეგმის შედგენა და საჭირო ინფორმაციის მოპოვება. აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების გადამოწმება, როგორც ფრომალურად, ასევე არითმეტიკულად და არსებითად.

მეორე ეტაპზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზურ დამუშავებას, ხდება ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული ახსნა-განმარტებების შესწავლა, ამით ფასდება წარსულ წერიოდში საწარმოს საქმიანობის პირობები. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება, დახარისხება და ანალიზური დამუშავება. თუ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ანალიტიკოსისათვის საჭირო ინფორმაცია, აუცილებელია ანალიტიკოსმა თვითონ გამოიანგარიშოს ანალიზისათვის აუცილებელი კოეფიციენტები.

ფინანსური ანალიზის დასკვნით ეტაპზე ხდება ჩატარებული ანალიზის შედეგების დაზუსტება და მის საფუძველზე საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების გზების წარდგენა, რეკომენდაციების შემუშავება. აქვე აღვნიშნოთ, რომ ყველა მეცნიერ-ეკონომისტი ფინანსური ანალიზის ეტაპებს ერთნაირად არ აყალიბებს, არამედ სხვადასხვა საფეხურებით განიხილავენ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის საინფორმაციო წყარო შეიძლება იყოს საწარმოს ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. მისი მიზანი მომხმარებლებისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი ფულადი საშუალებების მოძრაობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა. აუცილებელია, რომ ფინანსური ანგარიშგება ხასიათდებოდეს აქტუალობით, შესაბამისობით, საიმედოობითა და შესადარისობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწარმო ვალდებულია ყოველი საანგარიშგებო პერიოდი ბოლოს წარადგინოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რომელიც 5 პაკეტს მოიცავს, ესენია:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება პერიოდის დასასრულისათვის ანუ ბუღალტრული ბალანსი;
2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება ანუ მოგება-ზარალის ანგარიშგება;
3. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება;
4. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება;
5. განმარტებითი შენიშვნები, სადაც მოკლედ არის განხილული ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგების სწორად მოსამზადებლად აუცილებელია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები იყოს რალური და საიმედო. ბუღალტრული ჩანაწერები ზუსტად უნდა ასახავდნენ აქტივებისა და მათი წყაროების მდგომარეობას, საწარმოს სამეურნეო საქმიანობას და მის შედეგებს. შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს რიგი სამუშაოების ჩატარებას, რაც გულისხმობს ისეთ მოსამზადებელ სამუშაოებს როგორცაა: ინვენტარიზაცია, სააღრიცხვო ციკლის დამამთარებრელი ოპერაციები, მაკორექტირებელი გატარებების წარმოება, მონაცემთა განზოგადება და სამუშაო ფურცლის მომზადება. არის შემთხვევები, როცა სააღრიცხვო მონაცემები რეალობას არ შეესაბამება, რისი ძირითადი მიზეზიც შეიძლება იყოს:

- შენახვის პროცესში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულებათა ბუნებრივი დანაკარგები, გამოწვეული ისეთი მიზეზებით, რომლებიც დოკუმენტით გაფორმებას არ ექვემდებარება.
- შენახვის ადგილებიდან ფასეულობათა მირება-გაცემისას დაშვებული შეცდომები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტობა ან დანაკლისი;
- არასწორი არითმეტიკული გაანგარიშების შედეგად აღრიცხვაში დაშვებული შეცდომები;
- აღურიცხავი ოპერაციების აღმოჩენა

აღნიშნული უზუსტობების თავიდან აცილების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ინვენტარიზაცია, რაც ფინანსური აღრიცხვის მონაცემების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამისობის შემოწმებას გულისხმობს. შეიძლება შედარების უწყისით გამოვლინდეს ფასეულობათა მეტობა ან დანაკლისი, რომელიც შესაბამისად უნდა აისახოს ბუღალტრულ აღრიცხვაში.

ინვენტარიზაციის შედეგების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შემდეგ იწყება სააღრიცხვო ციკლის დამამთავრებელი ოპერაციების ასახვა. სააღრიცხვო ციკლის დამამთავრებელ ოპერაციებს მიეკუთვნება გრელვადიანი აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა, ისეთი მუხლების გადაფასება, როგორცაა ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, ინვესტიციები და მარაგები.

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური მდგომარეობის ანალიზისთვის საჭირო ინფორმაციას ფინანსური ანგარიშგება გვაძლევს, მაგრამ ძირითადი წყაროდ საწარმოს ბუღალტრული ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიშგება გამოიყოფა. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება სწორედ ბუღალტრული ბალანსის, მისი ელემენტების საფუძველზე ხდება. ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია: აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები. აქედან პირველი სამი, აქტივებული ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი ფინანსური ბალანსის ელემენტებია. ხოლო შემოსავლები და ხარჯები მოგებაზარალის ანგარიშგების ელემენტებს მიეკუთვნება. ისინი ასახავენ სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ მოვლენებს, რომლებმაც გამიწვიეს აქტივების, ვალდებულებების, კაპიტალის ცვლილება და გავლენა იქონიეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. საანგარიშგებო პერიოდში ვახდენთ შემოსავლებისა და ხარჯების დაპირისპირებას, განვსაზღვრავთ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და შედეგს წარმოვადგენთ მოგების ან ზარალის სახით.

ბალანსი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც დროის განსაზღვრული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულად ერთეულებში ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს. იგი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მზადდება.

ბუღალტრული ბალანსის მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის ერთერთი ძირითადი პრინციპის - ფულადი შეფასების პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნულ ვალუტით აისახება.

ბალანსში საწარმოს აქტივები და მათი ფორმირების წყაროები ბუღალტრული აღრიცხვის ერთ ერთი ძირითადი პრინციპის - ორმხრივობის პრინციპის საფუძველზე აისახება. აქედან გამომდინარე, ბუღალტრულ ბალანსს ორი მხარე აქვს. ერთ მხარეს აქტივები აისახება, ხოლო მეორე მხარეს - ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსში აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლები ეწოდება.

აქტივები ბუღალტრულ ბალანსში გრძელვადიან და მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებად ჯგუფდება. გრძელვადიანი აქტივები ბალანსში მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების სახითაა წარმოდგენილი. გრძელვადიანი მატერიალური აქტივებია ძირითადი საშუალებები მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ.

ძირითადი საშუალებების მსგავსად აისახება ბალანსში არამატერიალური აქტივები. ასეთი აქტივები შეიძლება იყოს: ლიცენზიები, კონცესიები, პატენტები, გუდვილი და ა.შ.

მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები ბალანსში აისახება სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების სახით.

აქტივების მსგავსად, ვალდებულებებიც ბუღალტრულ ბალანსში გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად ჯგუფდება. გრძელვადიან ვალდებულებებს გრძელვადიანი სესხები და სხვა კრედიტები მიეკუთვნება. ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებებია: მოკლევადიანი სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, საგადასახადო ვალდებულებები და ა.შ.

საკუთარი კაპიტალის ბალანსში ასახვა საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული. კაპიტალი ბუღალტრულ ბალანსში

შეიძლება შემდეგი მუხლებით იყოს წარმოდგენილი: საწესდებო კაპიტალი, ან სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი (რეინვესტირებული) მოგება, სარეზერვო კაპიტალი.

ბალანსში მუხლები ლიკვიდურობის პრინციპით ჯგუფდება. ლიკვიდურობა ფულად გადაქცევის სისწრაფეს, უნარს ნიშნავს. ბასს-ით ბალანსში მუხლები შეიძლება განთავსდეს ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით. ორივე მიდგომა დასაშვებია.

რომელი ტიპის სამართლებრივი საწარმოს ბალანსიც არ უნდა იყოს, ყოველთვის იგი ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელიც საბალანსო ტოლობის სახელით არის ცნობილი:

$$\text{აქტივი} = \text{საკუთარი კაპიტალი} + \text{ვალდებულებები}$$

ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია მრავალმხრივ მნიშვნელოვანია საწარმოს მიზნების მისარწევად, რამეთუ გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას:

- ბალანსის ინფორმაციით ვიგებთ აქტივების, ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის შემადგენელი მუხლების ცვლილების სასურველ დაა არასასურველ ტენდენციებს განვლილი მრავალი პერიოდის განმავლობაში;
- ბუღალტრული ბალანსი გვიჩვენებს საწარმო ფინანსურად დამოუკიდებელია თუ სხვებზე - კრედიტორებზე არის დამოკიდებული.
- ბალანსის ინფორმაცია საშუალებას იძლევა სათანადო დასკვნები გაკეთდეს იმის თაობაზე, შესწევს თუ არა კომპანიას საკმარისი რესურსი, რათა დროულად დაფროს მიმდინარე ვალდებულებები.
- შეისწავლება საწარმოს ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები და მათი ტენდენციები;
- გამოვლინდება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ცვლილების კავშირი ფულადი ნაკადების ცვლილებებთან;
- გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი კაპიტალი და ფარავს თუ არა მატერიალურ მარაგებს;
- შეფასდეს კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების მდგომარეობა;

- შესაძლებელია კაპიტალის ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი მაჩვენებლის შესწავლა;
- შესაძლებელია დასკვნების გაკეთება, რამდენად კარგად მუშაობს საწარმოს ხელმძღვანელობა, რათა ხელი შეუწყონ ბიზნესის განვითარებასა და პერსონალის სტიმულირებას.

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად შეისწავლება ბუღალტრული ბალანსის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლები, რომლებიც, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება კერძო (ანუ საკუთარი) ან კომბინირებული ხასიათის იყოს.

რაც შეეხება მოგება-ზარალის უწყისს, რომელიც ფინანსური ანალიზის მეორე უმნიშვნელოვანესი წყარო გახლავთ, მასში ასახულია შემოსავლები და ხარჯები, ასევე - მოგება ან ზარალი, რომელიც კომპანიამ მიიღო კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ ასახავს საწარმოს შემოსავლებსა და ხარჯებს კონკრეტული პერიოდის განმავლობაში. მისი შედგენა ხდება პერიოდულად, გარკვეული დროის მიხედვით და აჩვენებს საწარმოს საქმიანობის შედეგს. ბალანსის მსგავსად, ეს ანგარიშგებაც შეიძლება შედგეს თვის, კვარტალის, ან წლის მიხედვით. მათი შედგენა რეკომენდირებულია კვარტალის მიხედვით, თუმცა, ზოგი ბიზნესისათვის შესაძლოა უფრო სასარგებლო იყოს ყოველთვიურად მომზადება. წლიური მოგებისა და ზარალის შესახებ მოგებისა და ზარალის უწყისი ფორმა.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედეგები დამოკიდებულია მისი ჩატარების მეთოდისა და ხერხების სწორად შერჩევასა და სათანადო ინფორმაციის კვალიფიციურ დამუშავებაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის წარმატებით ჩატარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს სათანადო მეთოდის შემუშავება.

ზოგადად მეთოდის ქვეშ იგულისხმება რაიმე საქმიანობის განხორციელების მიზანშეწონილი წესებისა და ხერხების ერთობლიობა. ფინანსური ანალიზის მეთოდიკა წარმოადგენს საწარმოს ფინანსური საქმიანობის კვლევის ანალიზური წესებისა და ხერხების ერთობლიობას, რომლითაც მიიღწევა ფინანსური ანალიზის მიზანი.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის ფორმულირებას სპეციალისტები რამდენადმე განსხვავებულად ახდენენ. უმრავლესობა კი იზიარებს აზრს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა მოიცავს ანალიზის მიზნისა და ამოცანების, შესასწავლი მაჩვენებლების და მათზე მოქმედი ფაქტორების გავლენის, მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის სქემების შემუშავების, ანალიზის ჩატარების თანმიმდევრობისა და ვადების, ანალიზის შედეგების შეფასებისა და გაფორმების წესების, ანალიზის ჩამტარებელი კონკრეტული სამსახურებისა და პირების შესახებ ინფორმაციის ერთობლიობას.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ჩატარების მეთოდებისა და ვადების შესახებ ერთი კონკრეტული დებულება არ არსებობს, ამიტომ მისი ჩატარება ხდება ამ დარგის სპეციალისტთა მოსაზრებებისა და დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორთა ერთიანი კლასიფიკაცია და თვით ანალიზის ჩატარების თანმიმდევრობა. სპეციალისტების მიერ შემოთავაზებული უამრავი ფაქტორებიდან ხშირად ყველა მათგანის გაანგარიშება ვერ ხერხდება. ამიტომ მიზანშეწონილია მათგან ისეთის შერჩევა, რომლებიც საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენით გამოირჩევიან.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკა თავის მხრივ მოიცავს: ანალიზური სამუშაოების ჩატარების თანმიმდევრობას, ანუ ანალიზის ტექნოლოგიას და ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ხერხებს, რომელთაც ანალიზის ინსტრუმენტებსაც უწოდებენ.

ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ტექნოლოგია ანალიზის ჩატარების გარკვეული ეტაპების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლებიც შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

- ანალიზის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა, საანალიზო დარგისა და ობიექტის შერჩევა, ანალიზური სამუშაოების გეგმის შედგენა;
- მაჩვენებელთა სისტემის შერჩევა, რომელიც საანალიზო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა;

- ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, მათი სიზუსტისა და შესადარისობის უზრუნველყოფა;
- ფინანსური მდგომარეობის ძირითად მაჩვენებელთა გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან, წინა პერიოდების მაჩვენებლებთან, დარგის საშუალო და საუკეთესო საწარმოს მაჩვენებლებთან შედარება;
- ფინანსური მდგომარეობის ანალიზის ძირითადი ასპექტების გამოყოფა;
- ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა და ამ ფაქტორთა გავლენის დადგენა;
- ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავება. ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის მეორე ელემენტი - ანალიზის ჩატარების ტექნიკური ხერხები, თავის მხრივ აერთიანებს ტრადიციულ ლოგიკურ (შედარების, დაჯგუფების, ბალანსური კავშირის საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების, ჯაჭვური ჩასმის, აბსოლუტური სხვაობის) და მათემატიკურ (ლოგარითმული მეთოდის, ინტეგრალური მეთოდის, კორელაციის, წრფივი პროგრამირების, მრავალგანზომილებიანი მათემატიკური მოდელების ) ხერხებს.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და ისინი ხშირად ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. სამეურნეო მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს. მაგალითად საწარმოს კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მიზეზი საკუთარი საბრუნავი სახსრების უკმარისობა, საბრუნავი სახსრების ნელი ბრუნვადობა, ნასესხები სახსრების სიჭარბე და მრავალი სხვა ფაქტორის გავლენა შეიძლება იყოს. ამიტომ, რაც უფრო დეტალურად იქნება გამოკვლეული ფაქტორთა გავლენა მაჩვენებლის სიდიდეზე, მით უფრო ობიექტური იქნება ანალიზის შედეგები. ფაქტორთა გავლენის დეტალური ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს დასაბუთებული დასკვნები, გამოვლენილ იქნეს გამოუყენებელი რეზერვები, მიღებულ იქნეს ოპტიმალური სამმართველო გადაწყვეტილებები.

სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზის რამდენიმე მეთოდიკა. ანალიზის მეთოდის

პროცედურული ნაწილის დეტალიზაცია დამოკიდებულია დასახულ მიზნებზე, ასევე ინფორმაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის ფაქტორებზე.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მიზანშეწონილია ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი;
- დარგობრივი შედარებითი ანალიზის მეთოდი;
- საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარების მეთოდი;
- ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდი;
- კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგების წაკითხვის მეთოდი გულისხმობს ანგარიშგებაში წარმოდგენილი მაჩვენებლების აბსოლუტური მნიშვნელობების შესწავლას საწარმოს საშუალებების ძირითად წყაროთა, მოგების და დივიდენდური პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით. ასეთი ანალიზით საწარმოს ფინანსური ფინანსური მდგომარეობის შესახებ თავდაპირველი შთაბეჭდილების ფორმირება ხდება. გამოყოფენ ანგარიშგების წაკითხვის შემდეგ ძირითადი მეთოდებს:

- ჰორიზონტალური (დროის მიხედვით) ანალიზი - ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება წინა პერიოდთან, რაც ბალანსის ცალკეული მუხლების ან მათი ჯგუფების ცვლილების ტენდენციათა გამოვლენის საშუალებას იძლევა, ხოლო ამ უკანასკნელის საშუალებით კი დგინდება ზრდის ტემპი საბაზისო პერიოდთან მიმართებაში;
- ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზი - საშედეგო ფინანსური მაჩვენებლების სტრუქტურის განსაზღვრა, ე.ი. ფინანსური ანგარიშგების ცალკეული მუხლის ხვედრითი წილის დადგენა, თითოეული პოზიციის საბოლოო შედეგზე გავლენის განსაზღვრით;
- ტრენდული ანალიზი - ფინანსური ანგარიშგების თითოეული პოზიციის შედარება წინა პერიოდებთან და „ტრენდის“, ე.ი. მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი ტენდენციის დადგენა, რომელიც თავისუფალია შემთხვევითი ზემოქმედებისა და ცალკეული პერიოდების ინდივიდუალური

თავისებურებებისაგან. „ტრენდის“ საშუალებით განსაზღვრავენ მაჩვენებელთა მოსალოდნელ დონეებს და აქედან გამომდინარე, ტარდება პერსპექტიული საპროგნოზო ანალიზი.

- შეფარდებით მაჩვენებელთა (კოეფიციენტების) ანალიზი - ფინანსური ანგარიშგების ცალკეულ პოზიციათა შორის ურთიერთობების და მაჩვენებელთა ურთიერთკავშირის განსაზღვრა;
- შედარებითი (სივრცობრივი) ანალიზი - შიდა საწარმოო, ან საწარმოთა და მათი შვილობილი საწარმოების, ქვედანაყოფების, საამქროების ცალკეულ მაჩვენებელთა შედარება, და საწარმოთაშორისი - მოცემული საწარმოს მაჩვენებლების კონკურენტ საწარმოებთან ან მოცემული საწარმოს მაჩვენებლების საშუალო დარგობრივ მაჩვენებელთან შედარება;
- ფაქტორული ანალიზი - ცალკეული ფაქტორების საშედეგო მაჩვენებლებზე გავლენის განსაზღვრა. ამავე დროს ფაქტორული ანალიზი შეიძლება იყოს პირდაპირი, როცა შესასწავლი პროცესის დანაწევრება ხდება შემადგენელ ელემენტებად და ასევე სინთეზური, როცა ცალკეული ელემენტების გაერთიანება ხდება ერთ საშედეგო მაჩვენებლად.

ფინანსური ანგარიშგების წაკითხვისას აუცილებელია დადგინდეს: ხო მარ ჰქონდა ადგილი ცვლილებებს სააღრიცხვო პოლიტიკაში; დადგინდეს ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებულია, თუ არა; განისაზღვროს საწარმოს დარგობრივი კუთვნილება და შეფასდეს დარგობრივი თავისებურებების გავლენა ბალანსის აგებულებაზე; შეფასდეს ბალანსის აქტივებისა და ვალდებულებების ძირითადი ჯგუფების ცვლილება; გამოვლენილ იქნეს აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების ტენდენციები; შეფასდეს რამდენად შეესაბამება საკუთარი კაპიტალის მუხლების ცვლილება მოგებისა და ზარალის და საკუთარ კაპიტალში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ანგარიშგების მონაცემებს.

დარგობრივი შედარებითი ანალიზის მეთოდი ითვალისწინებს ერთი დარგის საწარმოთა მაჩვენებლების ანალიზს და ამ მაჩვენებლების შედარების საფუძველზე სთანადო დასკვნების გაკეთებას.

საწარმოს მაჩვენებელთა დინამიკაში შედარების მეთოდი, საშუალებას იძლევა განისაზღვროს მაჩვენებელთა ცვლილება წლების განმავლობაში, გამოვლინდეს მათი განვითარების ტენდენციები და დადგინდეს განვითარების კანონზომიერებანი.

ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლების შედარების მეთოდის გამოყენებით დგინდება საწარმოს მიერ დასახული გეგმების შესრულება აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებში.

კოეფიციენტური ანალიზის მეთოდი კი გულისხმობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებას.

ფინანსური ანალიზის კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად და ფინანსური მდგომარეობის კვალიფიციური შეფასებისათვის იყენებენ ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, მაგრამ თუ ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გამოყენება ხდება ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ამ მიზნის მიღწევა ძნელია. ფინანსური მდგომარეობის ობიექტური შეფასებისათვის აუცილებელია ფინანსური მაჩვენებლების, ანუ კოეფიციენტების გამოყენება. ფინანსური კოეფიციენტები ფინანსური მდგომარეობის ანალიზის შედარებით სწრაფ და მარტივ საშუალებას წარმოადგენს. ფინანსური კოეფიციენტები გვიჩვენებს თანაფარდობას ფინანსური აღრიცხვის ორ მაჩვენებელს, ან ფინანსური ანგარიშგების ორ მუხლს შორის. თუ ფინანსური კოეფიციენტების ფაქტიური დონე შესადარის ბაზაზე უარესია, ეს მიუთითებს საწარმოს საქმიანობის სუსტ მხარეებზე, რომელიც საჭიროებს დამატებით ანალიზს. ამ უკანასკნელმა კი შეიძლება არ დაადასტუროს ნეგატიური შეფასება.

ფინანსურ კოეფიციენტებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური მენეჯმენტისათვის, იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის გარე მომხმარებლების, აქციონერების და კრედიტორების მიერ გაკეთებული შეფასებების საფუძველს. ფინანსურ ანალიზში არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული კოეფიციენტების ჩამონათვალი ან მათი გამოთვლის სტანდარტული ხერხი. ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია ამ კოეფიციენტების დაჯგუფების რამდენიმე განსხვავებული ვერსია. ამ ვერსიების განხილვის და ანალიზის საფუძველზე ფინანსური კოეფიციენტები შემგვიძლია შემდეგი სახით დავაჯგუფოთ:

- ✓ საწარმოს ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები;
- ✓ ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლები;
- ✓ ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებლები;
- ✓ საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები;
- ✓ მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები.

ფინანსური კოეფიციენტების აღნიშნულ ჯგუფებში კი თავის მხრივ შეიძლება გაერთიანებულ იქნეს სხვადასხვა მაჩვენებლები, რომელიც დეტალური ანალიზის პროცესში უნდა იქნეს შესწავლილი.

ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ფინანსური მდგრადობის, საქმიანი აქტივობის, მომგებიანობისა და საინვესტიციო აქტივობის შეფასების მაჩვენებლები.

მაჩვენებლების ასეთი დაჯგუფება ფინანსური მდგომარეობის სრული და ობიექტური შეფასების საშუალებას გვაძლევს, თუ რა თქმა უნდა, ამ მეთოდის გამოყენებას თან ახლავს სრული და ზუსტი საინფორმაციო ბაზის გამოყენება და ანალიტიკოსთა მაღალი პროფესიონალიზმი.

პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებულ ფინანსურ კოეფიციენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზშედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე, გარკვეული ნაკლოვანებანი გააჩნია. ჯერ ერთი, ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკა დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის, თუმცა ამ კოეფიციენტების მნიშვნელობა დარგების მიხედვით განსხვავდება. მეორეც, მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას არ ხდება რეალურად ლიკვიდური აქტივების გათვალისწინება. კერძოდ, საქართველოში, საერთაშორისო სტანდარტებისაგან განსხვავებით ხშირად უძრავი ქონებაც ლიკვიდურია და ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს პროდუქციასთან შედარებით უფრო სწრაფად და მაღალი ფასებით იყიდება დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტები. გარდა ამისა, ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებს სტატისტიკური ხასიათი აქვთ, ამიტომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება მათ საფუძველზე არ იქნება რეალური,

თუ ამ მაჩვენებლებს საანალიზო საწარმოს რამდენიმეწლიანი პერიოდის მონაცემების მიხედვით არ გავიანგარიშებთ.

ფინანსური კოეფიციენტების გასაანგარიშებლად გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების მონაცემები. ანალიზის პროცესში გაითვალისწინება ამ კოეფიციენტების შემადგენელი ელემენტების ურთიერთდამოკიდებულება და განისაზღვრება ფაქტორთა გავლენა საანალიზო მაჩვენებელზე. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური მდგომარეობის ანალიზისა და საწარმოს შესაძლო გაკოტრების შეფასებისათვის სრულიადაც არ არის საკმარისი ერთი, თუნდაც შედარებით უნივერსალური მაჩვენებლის გამოყენება, რომელიც თანაბრად მისაღები იქნება ეკონომიკის ყველა დარგისა და ყველა სახის საქმიანობისათვის. ფინანსური კოეფიციენტების მეთოდი ანალიზის ყველაზე მეტად ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს. იგი მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი მიმართულებებისა და ფაქტორთა გავლენის დადგენის საშუალებას იძლევა, რაც ვერტიკალური, ჰორიზონტალური და ტრენდული ანალიზის საშუალებით ვერ ხერხდება.

## თავი II ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდის სრულყოფის საკითხები

### 2.1. საწარმოს ფინანსური მდგრალობის ანალიზის თეორიული მიმოხილვა

საწარმოს ფინანსური მდგრალობა მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობა, გამოყენება და განაწილებაა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

საწარმოს ფინანსურ მდგრალობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორებს შეიძლება მიეკუთვნოს აქტივების მდგომარეობა და მათი ბრუნვაობა, ფინანსური რესურსების შემადგენლობა და თანაფარდობა. გარე რესურსებს კი სახელმწიფო და საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, ფინანსური ბაზრის, სადაზღვევო საქმის და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხარისხი, ვალუტის კურსის ცვლილება და საერთო ეკონომიკური სტაბილურობა.

ბიზნესის სფეროში არსებული უმკაცრესი კონკურენციის პირობები საწარმოთა უმრავლესობას აიძულებს შეინარჩუნონ და წინ წასწიონ თავიანთი მიღწევები პროდუქციის ბაზარზე, რისთვისაც აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა. სწორედ საწარმოთა წარმატებებისა და სტაბილურობის საფუძველია კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოების გადიდება, რაც შეუძლებელია მიღწეული იქნას ფინანსური მდგრალობის გარეშე.

ფინანსური მდგრალობა საწარმოთა ფინანსების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულად უზრუნველყოფს მათ გადახდისუნარიანობას. ასეთ შემთხვევაში ფირმა საკუთარი შემოსავლების ხარჯზე ფარავს დაბანდებებს აქტივებში და დაწესებულ ვადებში კრედიტორულ ვალდებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაანალიზება აუცილებელია, რომლის ერთ-ერთი მთავარი საკითხია ფინანსური მდგრალობის შეფასება, ამისთვის საჭიროა შემდეგი ეტაპების გავლა:

ა) ფინანსური მდგრადობის აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი;

ბ) ფაქტორების გამოვლენა და მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გავლენის განსაზღვრა;

გ) მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება ფინანსური მდგრადობის ამდლების მიზნით.

ფინანსური მდგრადობა ეყრდნობა აქტივების ცალკეულ სახეებსა და მათი დაფინანსების წყაროებს შორის ოპტიმალურ თანაფარდობას, რომლისთვისაც აუცილებელია ფინანსური მდგრადობის შეფასების მაჩვენებელთა ანალიზი. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგ მაჩვენებელთა კოეფიციენტები:

- საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი;
- საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი;
- საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საწარმოს მესაკუთრეთა წილს მის საქმიანობაში ავანსირებული საშუალებების საერთო ოდენობაში. სასურველია მისი მნიშვნელობა 0.5-ს აღემატებოდეს. რაც უფრო მაღალია ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ფინანსურად მით უფრო მდგრადია საწარმო. საერთოდ, მიღებულია, რომ საკუთარი კაპიტალის წილი აღემატებოდეს მოზიდული კაპიტალის წილს, რადგან ამ შემთხვევაში უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ვალები საკუთარი სახსრებით დაიფარება. აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის მაჩვენებელია.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = (საკუთარი კაპიტალი) / (მთლიანი აქტივები)

ე.ი. საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის ხვედრით წონას მთლიან აქტივებში, ე.ი. განსაზღვრავს იმ ქონების სიდიდეს, რომელიც შემენილია საკუთარი კაპიტალით. საკუთარი კაპიტალის

კონცენტრაციის კოეფიციენტი სხვა არაფერია თუ არა საკუთარი კაპიტალის შეფარდება ბალანსის აქტივების ჯამთან.

მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს ნასესხები კაპიტალის ხვედრით წონას მთლიანად აქტივებში და განსაზღვრავს რა ოდენობის ვალდებულებებია მოზიდული ყოველი ერთი ლარის ქონების შეძენისათვის. მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ტოლია ვალდებულებები გაყოფილი ბალანსის აქტივების ჯამთან. საკუთარი და მოზიდული კაპიტალის თანაფარდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს ბალანსის საერთო ვალუტაში საკუთარი კაპიტალის ხვედრით წონას და როდესაც საკუთარი კაპიტალის ხვედრითი წონა უფრო მაღალია, ვიდრე ნასესხები კაპიტალისა, ეს ნიშნავს საწარმოს ფინანსურ მდგრადობას, სწორედ ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტი ფინანსური მდგრადობის ზოგადი დახასიათებისათვის გამოიყენება. იგი გაიანგარიშება საკუთარი კაპიტალის გაყოფით მოზიდულ კაპიტალზე. ფინანსური მდგრადობის დახასიათებისათვის ანალიზის პროცესში უნდა შევისწავლოთ საკუთარი და ნასესხები კაპიტალის დინამიკა და სტრუქტურა, რათა გაირკვეს მათი შემადგენელი ნაწილების ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და შეფასდეს დაფინანსების წყაროების რაციონალურობა საანგარიშგებო პერიოდში. კაპიტალის სტრუქტურის მაჩვენებლები ასახავს კრედიტორებისაგან საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი საწარმოს ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. კაპიტალის სტრუქტურის შეფასებისათვის შემდეგი თანაფარდობები გამოიყენება:

საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი, რომელიც კომპანიის გარედან მიღებულ სესხებზე დამოკიდებულების მახასიათებელია. დაბალი კოეფიციენტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საწარმოს დიდი ოდენობის სესხი აქვს აღებული, რაც მაღალი გადახდისუნარიანობის რისკის მატარებელია. იგი მიუთითებს აგრეთვე ფულადი სახსრების დეფიციტის წარმოშობის პოტენციურ საშიშროებაზე. საბანკო დავალიანების კოეფიციენტი გვიჩვენებს ბანკისადმი ვალის თანაფარდობას, საწარმოთა აქციონერების სახსრებთან. აღნიშნული კოეფიციენტი გამოიყენება საწარმოს ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის დასადგენად. აქედან გამომდინარე, საბანკო დავალიანების კოეფიციენტი სესხის გამცემი ბანკისათვის სათანადო დონეზე

უნდა იქნეს შენარჩუნებული. გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტი, რომელიც ახდენს დემოსტრირებას თუ საწარმოს აქტივების რა ნაწილი იფარება გრძელვადიანი სესხების ხარჯზე. ამიტომ, აღნიშნული კოეფიციენტი საშუალებას იძლევა დაზუსტდეს, როგორია გრძელვადიანი სესხების შედარებითი მნიშვნელობა კაპიტალის სტრუქტურაში. მას შეუძლია დამატებითი ინფორმაცია მოგვცეს საწარმოს საერთო ფინანსური დამოკიდებულების მისაღები მდგომარეობის შესაფასებლად. მაგალითად, როდესაც საწარმოს საერთო ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ძალიან დაბალია, მაშინ გრძელვადიანი დავალიანების კოეფიციენტმა შეიძლება მიგვანიშნოს, რომ გრძელვადიანი ვალდებულებების წილი მეტად მნიშვნელოვანია და ამიტომ მას უფრო მსხვილი გადავადებული გადასახადების მოგერიება შეუძლია.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე საქმიანობის დასაფინანსებლად გამოყენებული საკუთარი საბრუნავი კაპიტალის ხვედრით წონას საკუთარ კაპიტალში, ანუ საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია საბრუნავ საშუალებებში, ხოლო დანარენი კი – კაპიტალიზებულია. იგი გაიანგარიშება საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შეფარდებით საკუთარ კაპიტალთან.

ფინანსური მდგრადობის შეფასებისათვის გამოიყენება ფინანსური მდგრადობის შემდეგი ტიპები:

- აბსოლუტური მდგრადობა
- ნორმალური მდგრადობა
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა
- კრიზისული ფინანსური მდგომარეობა

აბსოლუტური მდგრადობა ნიშნავს მარაგისა და ხარჯების სიდიდის ნაკლებობას საკუთარი საბრუნავი კაპიტალისა და ბანკის კრედიტებით შეძენილ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ღირებულების ჯამზე. ამ დროს მარაგისა და ხარჯების საშუალებათა წყაროებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ერთზე მეტია. აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანად არის უზრუნველყოფილი მარაგები და დანახარჯები, რაც ასეთი თანაფარდობით გამოიხატება:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე

აღნიშნული თანაფარდობა იშვიათად შეიძლება არსებობდეს და არც შეიძლება იდეალურ მაჩვენებლად ჩაითვალოს, რადგანაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოს მენეჯმენტს არ აქვს უნარი, არ სურს ან არ შეუძლია გამოიყენოს გარე სახსრები ძირითადი საქმიანობისათვის. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მატერიალურ ფასეულობებში მინიმუმ 50% უნდა იყოს.

ნორმალური მდგრადობა – საწარმოს ისეთი ფინანსური მდგომარეობაა, რომელიც გარანტირებულს ხდის გადახდისუნარიანობას. ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგებისა და დანახარჯების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით, რაც ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება გამოისახოს:

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“

ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული ავანსების ერთობლიობა.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა – ნიშნავს საგადასახდელო ბალანსის რღვევას, მაგრამ შესაძლებელია საგადასახადო საშუალებებსა და საგადასახადო ვალდებულებებს შორის წონასწორობის აღდგენა. არამდგრადი ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგების და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის „ნორმალური“ წყაროების, არამედ საკუთარი საბრუნავი საშუალებების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ნასესხები წყაროების, ე.ი. ყველა წყაროს ხარჯზე. ამ დროს საწარმო იძულებულია ყველა სახის სესხი აიღოს მარაგების შესაძენად. აღნიშნული მდგომარეობა შემდეგი სახით გამოისახება: მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური წყაროები“

კრიზისული ფინანსური მდგომარეობა – არის ისეთი სიტუაცია, როდესაც საწარმო გაკოტრების პირასაა მისული და საგადასახდელო ბალანსში წონასწორობა უზრუნველყოფილია ვადაგასული გადასახადებით შრომის ანაზღაურებაზე,

მომწოდებლებთან, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებაზე, ბანკის სესხებზე და სხვა. კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების წყაროებით. საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. ამ დროს საწარმოს გააჩნია ვადაზე გადაუხდელი კრედიტორული დავალიანებები და სესხები, ასევე ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. ასეთი სიტუაციის ქრონიკული განმეორების შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის აღდსადგენად აუცილებელია კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარება მიმდინარე აქტივებში, მარაგებისა და ხარჯების დასაბუთებული შემცირება, საკუთარი საბრუნავი კაპიტალის შევსება შიდა და გარე წყაროებით. საწარმოს ფინანსური მდგრადობის (სტაბილურობის) გაუმჯობესება მიიღწევა:

- ✓ მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით;
- ✓ მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფით;
- ✓ საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებით შიდა და გარე წყაროების ხარჯზე

ფინანსური მდგრადობის ანალიზისას აუცილებელია არა მარტო მაჩვენებლების გაანგარიშება, არამედ მიღებული შედეგის აღქმის შესაძლებლობა. მომავალში შესასრულებელი საკითხების დასმა და განხორციელების გზების განსაზღვრა.

ფინანსური ანალიზის შემდეგი ეტაპია ფაქტორთა ანალიზი. საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე გავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი: შინაგანი და გარეგანი, ძირითადი და მეორე ხარისხოვანი, მარტივი და რთული, მუდმივი და დროებითი. ანალიზის პროცესში ძირითადად ყურადღებას უთმობენ შინაგან ფაქტორებს, რომელიც დამოკიდებულია საწარმოს საქმიანობაზე, მაგალითად, საწარმოში მომუშავე პერსონალის საქმიანობაზე, კორექტირება შეიტანონ მათ საქმიანობაში და მოახდინონ მათზე ზემოქმედება.

საყურადღებოა ისიც, რომ საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე არანაკლებ მოქმედებს გარეგანი ფაქტორები. მათ შორის მნიშვნელოვანია საბაზრო დეტერმინანტები და ზოგადად, ბაზარზე შექმნილი სიტუაციები. ცხადია, საწარმოს ნაკლებად აქვს შესაძლებლობა აღნიშნულ ფაქტორებზე ზემოქმედებისა, თუმცა იგი ყოველთვის მზად უნდა იყოს ფორსმაჟორული სიტუაციებისთვის. ცალკე განხილვის საგანია, რამდენად ახერხებს საწარმო მზადყოფნას აღნიშნული სიტუაციებისთვის, რამდენად არეგულირებს ფინანსური ნაკადების მოძრაობას და ინარჩუნებს სტაბილურ ფინანსურ მდგომარეობას. არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი გარე ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენენ საწარმოს ფინანსურ შესაძლებლობაზე და მდგრადობაზე. ამ ფაქტორთა შორის ერთ–ერთი მთავარია სახელმწიფოს ბერკეტები, სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელსაც იგი საგადასახადო კანონით ახორციელებს. როცა ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია, როცა სახელმწიფოს ინტერესებში შედის სწორედ ეროვნული მეურნეობის უპირატესი განვითარება და ეროვნული ეკონომიკის წინსვლა საკუთარი რესურსების (ნედლეული, სამუშაო ძალა, სამეწარმეო უნარი) ხარჯზე, მაშინ გაცილებით უკეთესი სიტუაციაა ნებისმიერ საწარმოში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად, ადგილობრივი წარმოების პროდუქციას ჩაენაცვლება უცხოური, გაცილებით დაბალი ხარისხის, ნაკლებად საიმედო და სანდო (ხარისხობრივი თვალსაზრისით) პროდუქცია, მაგრამ იაფი. სწორედ სახელმწიფო პოლიტიკა არის უმთავრესი გარედან მოქმედი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს საწარმოთა ფინანსურ მდგრადობას. უფრო მეტიც, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას სერიოზული და მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს საწარმოებს, ფირმებს, კომპანიებს. უბრალო და მარტივი მიზეზის გამო – სახელმწიფოს ძლიერება დგას რენტაბელურ საწარმოთა მხრებზე. ცხადია, საუბარია ქვეყნისთვის სასიცოცხლო და მნიშვნელოვან სექტორებზე, დარგებსა და საწარმოებზე.

## 2.2. საწარმოს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასება და ანალიზი

ლიკვიდურობა (მიმდინარე გადახდისუნარიანობა) - კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი, გამოისახება საწარმოს ვალდებულებების იმ აქტივებით დაფარვის ხარისხით, რომლის ფულად გადაქცევის ვადა შეესაბამება დავალიანების დაფარვის ვადას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდურობა არის ვალდებულებების დროულად და სრულად ანაზღაურების უნარი.

დაბალი გადახდისუნარიანობა (ლიკვიდურობა) ვლინდება ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, როცა კომპანიას აქვს პრობლემები ანგარიშების (მოკლევადიანი ვალდებულებების) გადახდასთან დაკავშირებით. ანგარიშების (მოკლევადიანი ვალდებულებების) გადაუხდელობასთან დაკავშირებული პრობლემის ინდიკატორებს ასევე წარმოადგენს ზენორმატიული დავალიანება ბიუჯეტის, პერსონალის, კრედიტორების მიმართ, საკრედიტო რესურსების ზრდა, წმინდა საბრუნავი კაპიტალის შემცირება და რა თქმა უნდა, მისი უარყოფითი სიდიდე.

საბრუნავი აქტივების სტრუქტურის, ადვილად და ძნელად რეალიზებადი საბრუნავი საშუალებების შესაბამისობიდან გამომდინარე საწარმო შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ლიკვიდური.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების მნიშვნელოვან მაჩვენებლებს ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის მიხედვით, თუ საწარმოს აქვს უნარი დაფაროს თავისი მოკლევადიანი ვალდებულებები ადვილად რეალიზებადი სახსრებით, მაშინ იგი ფინანსურად მდგრად საწარმოდ ითვლება.

ლიკვიდურობის ცნების გაგება თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში არაერთგვაროვანია, თავად ტერმინი „ლიკვიდურობა“ ლათინური სიტყვიდან „ლიქუიდუს“ წარმოდგება და „თხევადს“, „მიმდინარეს“ ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ლიკვიდურობის განსხვავებული განმარტებები არსებობს, ავტორთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ლიკვიდურობა წარმოადგენს საწარმოს უნარს, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება.

სპეციალურეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას.

ლიკვიდური აქტივების ცნება უკავშირდება სტაბილურად პროგნოზირებადი ფასით აქტივების სწრაფად რეალიზაციის შესაძლებლობას.

აქტივების ლიკვიდურობა შეფარდებითი ცნებაა, ვინაიდან მათი გაყიდვა ბოლოს და ბოლოს ყოველთვის შესაძლებელია. აქტივების ლიკვიდურობის არსი ფულად საშუალებებად ქცევის უნარია. აღიარებულია, რომ შედარებით ნაკლებად ლიკვიდურია უძრავი ქონება. აქტივის ფულად ქცევის უნარი განაპირობებს ყველა აქტივის განლაგებას ლიკვიდურობის „კიბეზე“ ზრდადობის მიხედვით.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინს „ლიკვიდურობა“ გააჩნია გამოყენების ფართო სპექტრი და ახასიათებს ეკონომიკის სრულიად განსხვავებულ ობიექტებს. ის გამოიყენება როგორც ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა ობიექტების (საწარმო, ბანკი), ასევე ეკონომიკური ცხოვრების ობიექტების (საქონელი, ფასიანი ქაღალდი) და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობისათვის დამახასიათებელი ცალკეული მხარეების (საწარმოს ბალანსი, ბანკის ბალანსი) დახასიათებისათვის.

აქედან გამომდინარეობს აქტივების, ბალანსის, საწარმოს ლიკვიდურობის ცნებები.

ლიკვიდურობა წარმოადგენს ცალკეულ ფასეულობათა ფულად ფორმაში გადასვლის უნარს, თავისი საბალანსო ღირებულების არსებითი ცვლილების გარეშე. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება დროის ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს.

ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი ქონება საშუალებას იძლევა აქტივების.

სწრაფი რეალიზაციის ხარჯზე დაფაროს ვალდებულებები, ე.ი. გააჩნია შესაძლებლობა მოცემულ დროს უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა თავისი აქტივებით, სხვა წყაროების ან სახსრების მოზიდვის გარეშე. საწარმოს ლიკვიდურობა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ბალანსის ლიკვიდურობა. ბალანსის ლიკვიდურობა ითვალისწინებს გადახდის საშუალებათა არსებობას შიდა წყაროების ხარჯზე (აქტივების რეალიზაცია). ამავე დროს საწარმოს შეუძლია ნასესხები სახსრების

მოზიდვა გარედანაც, თუკი მას გააჩნია შესაბამისი იმიჯი საქმიან სფეროში და საინვესტიციო მიმზიდველობის საკმაოდ მაღალი დონე.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საწარმოს ლიკვიდურობის ქვეშ იგულისხმება მისი უნარი შეასრულოს თავისი ვალდებულებანი, გააჩნია რა, ამისათვის საკმარისი ოდენობით სახსრები.

ერთი შეხედვით, ლიკვიდურობა ასეთი ფორმულირებით არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ე.ი. საწარმოს უნარისგან პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის კონკრეტულ მომენტისათვის.

ამრიგად, საწარმოს გადახდისუნარიანობა არის საწარმოს უნარი, დროულად და სრულად დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებანი. გადახდისუნარიანობა გულისხმობს საწარმოში ფულისა და მისი ექვივალენტების იმ ოდენობით არსებობას, რომელიც საკმარისია სასწრაფო კრედიტორული დავალიანებების დასაფარავად. ამრიგად, გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს საწარმოში ფულის საკმარისი ოდენობით არსებობა და ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების არ არსებობა.

ამავე დროს, ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა, გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია ბალანსზე და საწარმოს ლიკვიდურობაზე. ლიკვიდურობა ხასიათდება, როგორც ანგარიშსწორებათა მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში და პერსპექტივაში. საწარმო შეიძლება იყოს გადახდისუნარიანი საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ გააჩნდეს არაკეთილსასურველი შესაძლებლობანი მომავლისათვის.

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არ არის იგივერი ცნებები. მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, თუმცა ეს შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ საბრუნავი აქტივების შედგენილობაში სჭარბობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებანი და ისეთი აქტივები, რომელთა რეალიზება ბაზარზე შეუძლებელია არსებითი ფინანსური დანაკარგების გარეშე. ლიკვიდურობა ნაკლებად დინამიურია გადახდისუნარიანობასთან შედარებით.

ლიკვიდურობის კოეფიციენტი ჩვეულებრივად მერყეობს გარკვეულ ფარგლებში და ანალიტიკოსებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ შესაბამისი დასკვნები და ორიენტაცია აიღონ საწარმოს საქმიანობის ახალ მიმართულებებზე. რაც შეეხება გადახდისუნარიანობას, ის შეიძლება ძალზე ცვალებადი იყოს, დღიდან დღემდე. ერთ დღეში საწარმო გადახდისუნარიანიდან შეიძლება გადახდისუნარო გახდეს მორიგ კრედიტორთან ანგარიშსწორების დროის დადგომისას, თუ მას ფული არ გააჩნია დებიტორების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო.

გადახდისუნარობა შეიძლება იყოს შემთხვევითი, დროებითი და ხანგრძლივი, ქრონიკული. მისი გამომწვევი მიზეზებია: ფინანსური რესურსებით არასაკმარისი უზრუნველყოფა, რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობა, საბრუნავ საშუალებათა არარაციონალური სტრუქტურა, კონტრაგენტებისაგან გადასახდელთა არადროული მიღება და სხვა.

ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა შეიძლება შეფასდეს რიგი აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. ძირითად აბსოლუტურ მაჩვენებელს წარმოადგენს საკუთარ საბრუნავ საშუალებათა ოდენობა.

ლიკვიდურობის ანალიზი ითვალისწინებს ლიკვიდურობის კლების მიხედვით დაჯგუფებული აქტივების შედარებას მოკლევადიან ვალდებულებებთან, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დაფარვის ვადების ზრდის პრინციპით.

ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით, ე.ი, ფულად საშუალებებად გარდაქმნის სისწრაფის მიხედვით, საწარმოს აქტივები ასეთი სახით ჯგუფდება:

A1 \_ მაღალლიკვიდური აქტივები \_ საწარმოს ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);

A2 \_ სწრაფად რეალიზებადი აქტივები \_ დებიტორული დავალიანებანი, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვეს არ აღემატება;

A3 \_ ნელა რეალიზებადი აქტივები \_ მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება, გადახდილი დღგ, დებიტორული დავალიანებები, რომელთა დაფარვის ვადა საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვეს აღემატება;

A4 \_ ძნელად რეალიზებადი აქტივები \_ გრძელვადიანი აქტივები: ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები, დაუმთავრებელი მშენებლობანი.

საწარმოს ვალდებულებები დაფარვის ვადებიდან გამომდინარე ჯგუფდება ასეთი სახით:

L1 \_ სასწრაფო ვალდებულებები \_ კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები, რომელთა გადახდის ვადა დამდგარია;

L2 \_ მოკლევადიანი ვალდებულებები \_ ეს არის მოკლევადიანი სესხები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

L3 \_ გრძელვადიანი ვალდებულებები \_ ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან, გრძელვადიანი თამასუქები, გასანაღდებელი ობლიგაციები;

L4 \_ მუდმივი პასივები \_ საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად საწარმოს განკარგულებაშია.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრა ხდება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობის დადგენით.

ლიკვიდურობის ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია შემდეგი მაჩვენებლების გაანგარიშება:

- ✓ ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი;
- ✓ მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი;
- ✓ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- ✓ აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- ✓ საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში;
- ✓ მარაგების დაფარვის კოეფიციენტი.

ანალიზის პროცესში მიზანშეწონილია საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტის გაანგარიშება. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით ამ მაჩვენებელს ფუნქციონირებადი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ახასიათებს საკუთარი საბრუნავი სახსრების იმ ნაწილს, რომელიც ფულადი სახსრების სახით არსებობს, ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურია და განისაზღვრება ფულადი სახსრების შეფარდებით საკუთარი საბრუნავი სახსრების ჯამთან. ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოებში ეს მაჩვენებელი 0-დან 1-მდე მერყეობს, თუმცა თეორიულად შესაძლებელია მისი უფრო მაღალი დონის მიღწევა.

სხვა დანარჩენ თანაბარ პირობებში ამ მაჩვენებლის დინამიკაში ზრდა დადებით ტენდენციად განიხილება. ამ კოეფიციენტის საჭირო ორიენტირებულ სიდიდეს საწარმო დამოუკიდებლად ადგენს თავისუფალ ფულად სახსრებზე საწარმოს ყოველდღიური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე.

მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი – აქტივების ლიკვიდურობის ზოგადი შეფასების საშუალებას იძლევა. იგი გვიჩვენებს, რა რაოდენობის მიმდინარე აქტივები მოდის მიმდინარე ვალდებულებებზე და გამოითვლება საბრუნავი (მიმდინარე) აქტივების შეფარდებით მიმდინარე (მოკლევადიანი) ვალდებულებებთან. ავტორთა უმრავლესობის მოსაზრებით „იდეალური“ თანაფარდობა 2-ის ტოლია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სხვადასხვა ტიპის ბიზნესისათვის საჭიროა საბრუნავი საშუალებებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების განსხვავებული თანაფარდობა. მაგალითად, სამრეწველო საწარმოებისათვის ეს თანაფარდობა საკმაოდ მაღალია, რადგან მათთვის აუცილებელია მზა პროდუქციის, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების მარაგი. ამავე დროს, თუ მწარმოებლები პროდუქციას კრედიტით ყიდნიან, იზრდება დებიტორული დავალიანების ოდენობა. რაც უფრო მაღალია საბრუნავი აქტივების თანაფარდობა მით უფრო ლიკვიდურად ითვლება საწარმო. თუმცა თუ ეს თანაფარდობა ძალიან მაღალია, ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კომპანიის აქტივები წარმოდგენილია უპირატესად ფულადი საშუალებებით ან სხვა აქტივებით და ისინი არ გამოიყენება ისე შედეგიანად, როგორც ეს შესაძლებელია. ამ კოეფიციენტის გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$\text{მიმდინარე ლიკვიდურობის კრიტერიუმი} = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

ჩვეულებრივ საბრუნავ აქტივებში შეტანილია ფულადი სახსრები, ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, დებიტორული დავალიანება და სასაქონლო – მატერიალური მარაგები. მოკლევადიან ვალდებულებებში შეტანილია გასანაღდებელი ანგარიშები, გასანაღდებელი მოკლევადიანი თამასუქები, გრძელვადიანი პასივების მიმდინარე გადასახდელები (გადასახადები, ხელფასები).

თუ მაჩვენებელი 2-ზე მეტია, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფირმას შეუძლია მიმდინარე აქტივების გარკვეული სიდიდის შემცირება ისე, რომ არ შემცირდეს მისი გადახდისუნარიანობა მიმდინარე ვალდებულებებთან მიმართებაში. თუ მლკ 2-ზე ბევრად მეტია, ეს ნიშნავს, რომ ფირმა გაუმართლებლად ინარჩუნებს დიდი რაოდენობის მიმდინარე აქტივებს და არ იყენებს საკუთარი ზრდის მიზნისათვის.

თუ კორპორაციას გააჩნია ფინანსური სიძნელეები, იგი იწყებს თავისი ანგარიშიდან შედარებით ნელა გადახდას, ცდილობს აიღოს ბანკის სესხები და ა.შ. თუ მოკლევადიანი პასივები საბრუნავ საშუალებებთან შედარებით ჩქარი ტემპებით იზრდება, მაშინ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი იწყებს შემცირებას, რაც გამოიწვევს დასაბუთებულ განგაშს იმის გამო, რომ ეს კოეფიციენტი გამოხატავს თუ რა ზომით იფარება მოკლევადიანი პასივები აქტივებით, რომლებიც დროის განსაზღვრულ პერიოდში შეიძლება მიმართული იქნეს ფულად საშუალებებში.

მიმდინარე ლიკვიდურობის გაზრდისათვის აუცილებელია:

- ✓ კომპანიის საქმიანობის მომგებიანობა და მისი ზრდა;
- ✓ ფინანსური წესის დაცვა: საინვესტიციო პროგრამის დაფინანსება (დაბანდებები ბრუნვისგარეშე აქტივებში) მოხდეს გრძელვადიანი და არა მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე;
- ✓ საინვესტიციო დაბანდებების განხორციელება მიღებული მოგებისა და მოზიდული გრძელვადიანი ინვესტიციების ფარგლებში, სუფთა საბრუნავი კაპიტალის მდგომარეობის გათვალისწინებით;
- ✓ კომპანია ყველანაირად უნდა ცდილობდეს, რომ მოახდინოს დაუმთავრებელი წარმოების მარაგების, ანუ ყველაზე ნაკლებად ლიკვიდური საბრუნავი აქტივების გონივრული მინიმიზაცია.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (მჟავა-ტესტის კოეფიციენტის სახელით ცნობილი), ანუ კრიტიკული შეფასების კოეფიციენტი წარმადგენს ლიკვიდურობის უფრო დამაჯერებელ შემოწმებას. კომპანიათა უმრავლესობის საქონლო-მატერიალური მარაგების მომენტალურად ფულად ქცევა შეუძლებელია, ამიტომ უმჯობესია ამ კონკრეტული აქტივის გამორიცხვა ლიკვიდურობის მაჩვენებლის გაანგარიშებისას, ე.ი.

ფულადი საშუალებებისა და დებიტორული დავალიანებების ჯამი შეფარდებული უნდა იქნეს მოკლევადიან ვალდებულებებთან. ამრიგად, კოეფიციენტის მრიცხველი არ მოიცავს მარაგებს.

თეორიულად, რაც მაღალია მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, მით მაღალია კომპანიის შესაძლებლობა დაფაროს თავისი ვალდებულებები, თუმცა ამ კოეფიციენტის საფუძველზე შესაძლოა მიღებულ იქნეს მხოლოდ მიახლოებითი შეფასება, რამდენადაც იგი არ ითვალისწინებს მიმდინარე აქტივების ცალკეული ელემენტების ლიკვიდურობას. კომპანია, რომლის მიმდინარე აქტივები შედგება ფულადი საშუალებებისგან და დაუგვიანებელი მისაღები ანგარიშებისგან, ითვლება მაღალლიკვიდურად იმ კომპანიასთან შედარებით, რომელიც მიმდინარე აქტივები შედგენა ძირითადად მარაგებისგან. შედეგად აუცილებელია უფრო ზუსტი მაჩვენებლის გამოყენება კომპანიების ლიკვიდურობის დონის შეფასებისთვის. ამისთვის კი გამოიყენება – მჟავა-ტესტის ანუ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი}}{\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი}} = \frac{\text{საბრუნავი საშუალებები – მარაგები}}{\text{მოკლევადიანი პასივები}}$$

სასაქონლო მატერიალური მარაგები, როგორც წესი, ნაკლებად ლიკვიდური საბრუნავი საშუალებებია. ამ აქტივების იძულებითი გაყიდვა ხშირად ზარალთან არის დაკავშირებული. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია კორპორაციის განსაზღვრული უნარი, შესაძლებლობა გაისტუმროს მოკლევადიანი ვალდებულებები, ისე რომ მოერიდოს სასაქონლო-მატერიალური მარაგების რეალიზაციას.

არსებობს მესამე მაჩვენებელი, რომელსაც აბსოლუტურ ლიკვიდურობის კოეფიციენტს უწოდებენ. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი მიუთითებს იმაზე, თუ მოკლევადიანი ვალდებულებების რა ნაწილი შეიძლება დაიფაროს დაუყოვნებლივ. იგი გაიანგარიშება ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრების

შეფარდებით მოკლევადიან ვალდებულებებთან. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მიმდინარე ვალდებულებების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური

ნაწილის, ფულადი სახსრების ხარჯზე უნდა დაიფაროს, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ძალზე მცირეა იმის ალბათობა, რომ ყველა კრედიტორი ერთდროულად წაუყენებს საწარმოს მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, თეორიულად გამართლებულია აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-დან 0.3-მდე. აღნიშნული კოეფიციენტის გაანგარიშება ხდება ფორმულით:

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{სწრაფად რეალიზებადი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

მაღალლიკვიდური საშუალებებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების სასწრაფო ვალდებულებებთან და მოკლევადიან ვალდებულებებთან თანაფარდობით დგინდება მიმდინარე ლიკვიდურობა, რომელიც მიუთითებს, საწარმოს გადახდისუნარიანობაზე (ან პირიქით) უახლოესი პერიოდის განმავლობაში.

პერსპექტიული ლიკვიდურობა არის მომავალში მისაღები აქტივების და გადასახდელთა (რომელთა ნაწილი აქტივების სახით არის ასახული ბალანსში) თანაფარდობას გრძელვადიან ვალდებულებებთან, ამიტომ მიახლოებით პროგნოზს წარმოადგენს.

განვიხილოთ შპს „ზოდი პლიუსი“ , რომელიც დაფუძნდა 2007 წელს. კომპანიის საქმიანობის სფერო მოიცავს სამშენებლო მასალების იმპორტს და რეალიზაციას. კომპანია საქმიანობას აწარმოებს როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში.

ანალიზისთვის განვიხილოთ შპს „ზოდი პლიუსი“-ის 2016-2018 წლების ფინანსური ანგარიშგებები. მაგალითისთვის, ამჯერად ავიღოთ 2016, 2017, 2018 წლის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ და გამოვთვალოთ შესაბამისი კოეფიციენტები:

ცხრილი #1. შპს „ზოდი პლიუსი“-ს ლიკვიდურობის კოეფიციენტები

№	მაჩვენებლები	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	რაოდენობრივი ცვლილება საბაზისო 2016 წელთან შედარებით		პროცენტული ცვლილება საბაზისო 2016 წელთან შედარებით (%)	
					2017	2018	2017	2018
1	მიმდინარე აქტივები	7 037 568	8 899 477	12 896 598	1 861 909	5 859 030	26	83
2	ფულადი საშუალებები	95 808	100 029	325 639	4 221	229 831	4	240
3	სწრაფად რეალიზებადი აქტივები + დებიტორული დავალიანებები	923 340	1 502 635	1 951 616	579 295	1 028 276	63	111
4	მარაგები	5 755 708	6 956 832	9 885 341	1 201 124	4 129 633	21	72
5	ნაკლებად რეალიზებადი აქტივები - გრძელვადიანი აქტივები	4 428 811	5 864 802	14 849 074	1 435 991	10 420 263	32	235
6	სასწრაფო ვალდებულებები	1 886 617	3 661 054	5 228 384	1 774 437	3 341 767	94	177
7	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4 772 471	3 860 654	5 228 384	-911 817	455 913	-19	10
8	გრძელვადიანი ვალდებულებები	3 528 448	8 437 498	10 892 012	4 909 050	7 363 564	139	209
9	საკუთარი კაპიტალი	3 000 000	3 000 000	3 000 000	0	0	0	0
10	აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,21	0,42	0,44	0,20	0,22	100	109
11	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1,47	2,31	2,47	0,83	0,99	56	67
12	სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0,27	0,50	0,58	0,23	0,07	87	114

მიმდინარე	7 037 568
ლიკვიდურობის =	----- = 1.47
კოეფიციენტი 2016 წ.	4 772 471

მიმდინარე	8 899 477
ლიკვიდურობის =	----- = 2.31
კოეფიციენტი 2017 წ.	3 860 654

მიმდინარე	12 896 598
ლიკვიდურობის =	----- = 2.47
კოეფიციენტი 2018 წ.	5 228 384

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი საანალიზო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და 2017 წელს იგი იდეალურ ზღვარს უახლოვდება. როგორც ვხედავთ, წლიდან წლამდე კოეფიციენტები იზრდება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას არ გაჩნია ლიკვიდობის პრობლემები. კომპანიამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა ლიკვიდობის გამოსასწორებლად. დროულად დაფარა კრედიტორთა დავალიანება, ან უიმედო ვალების წილის შემცირების მიზნით, მიმართა დებიტორული დავალიანების ამოღების უკეთეს ხერხებს.

როგორც ვხედავთ, კოეფიციენტი 2-ზე მეტია. მხოლოდ მასზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფირმა საკმაოდ ლიკვიდურია, მაგრამ გვაქვს თუ არა იმ შემთხვევასთან საქმე, როდესაც ფირმა საკუთარ აქტივებს არ იყენებს ეფექტურად საკუთარი ზრდის მიზნისთვის?

ყურდლება უნდა გავამახვილოთ სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტზე, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი}}{\text{მიმდინარე აქტივები - მარაგები}} = \frac{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

შპს „ზოდი პლიუსი“-ს ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2016-2018 წლებში, შემდეგ მნიშვნელობებს იძენს:

სწრაფი	7 037 568– 5 755 708	
ლიკვიდურობის =	-----	= 0.27
კოეფიციენტი 2016 წ.	4 772 471	

სწრაფი	8 899 477– 6 956 832	
ლიკვიდურობის =	-----	= 0.50
კოეფიციენტი 2017 წ.	3 860 654	

სწრაფი	12 896 598– 9 885 341	
ლიკვიდურობის =	-----	= 0.58
კოეფიციენტი 2018	5 228 384	

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი მცირე, მაგრამ მაინც გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება 2016, 2017, 2018 წლებში, თუმცა კოეფიციენტი ჯერჯერობით 1-ს ვერ უახლოვდება. ასეთი შედეგი მოსალოდნელიც იყო ისეთი დიდი საწარმოსთვის, რომელსაც ახლა განვიხილავთ. მარაგების დიდი რაოდენობა ძალიან ზრდის მიმდინარე აქტივებს. მიმდინარე აქტივების გაზრდა კი, თავის მხრივ, იწვევს ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაზრდასაც. იქიდან გამომდინარე, რომ მარაგები ნაკლებად ლიკვიდური საბრუნავი საშუალებებია და მათი მეშვეობით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა შეიძლება რთული საკითხი გამხდარიყო, მჟავა ტესტის კოეფიციენტმა დაგვარწმუნა კომპანიის ნაკლებად ლიკვიდურობაში.

განვიხილოთ მესამე მაჩვენებელი:

$$\text{აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{ფულადი სახსრები} + \text{სწრაფად რეალიზებადი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

დავუბრუნდეთ შპს „ზოდი პლიუსი“-ს მაჩვენებლებს, ვრებულობთ შემდეგ კოეფიციენტებს:

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (2016) = 0,21

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (2017) = 0.42

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი (2018) = 0.04

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2017 წელს გაორმაგდა და მკვეთრი ზრდა განიცადა 2018 წელს რაც დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა რომ ამ კოეფიციენტის მნიშვნელობა ძალიან დაბალია. აღნიშნული გარემოების მიზეზს წარმოადგენს არასაკმარისი ოდენობით ფულადი სახსრები მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად. კომპანიაში 2017, 2018 წლებში ფულადი საშუალებების გაზრდას ჰქონდა ადგილი, თუმცა 2018 წელს პარალელურად გიზარდა მიმდინარე ვალდებულებები 2016 წელთან შედარებით 10%-ით, საწარმოს მოკლევადიანი ვალდებულებების თავისი ფულადი სახსრებით მხოლოდ 6%-ის დაფარვის შესაძლებლობა გააჩნდა. სხვა არსებითი დასკვნების გაკეთება ამ მონაცემებით ვერ ხერხდება, 2017-2018 წლების აბსოლუტური ლიკვიდურობის მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესებულია, მაგრამ ვერ უახლოვდება 1-ს.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია მისი გადახდისუნარიანობის შეფასება. საწარმოს გადახდისუნარიანობა განისაზღვრება მისი შესაძლებლობებით და უნარით დროულად და სრულად გადაიხადოს საგადასახადო ვალდებულებები. შესაბამისად, საწარმო გადახდისუნარიანია, როცა საბრუნავი აქტივების ჯამი (მარაგები, ფულადი სახსრები, დებიტორული დავალიანება და სხვა აქტივები) მეტია ან ტოლია მის გარე ვალდებულებებზე. ამიტომ ბანკები, კრედიტორები და სხვა დაინტერესებული პირები საქმიანი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნით, პირველ რიგში, სწორედ ამ თანაფარდობას ანუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტს ითვლიან.

თუმცა, ბანკირები, კრედიტორები და სხვა დაინტერესებული პირები საქმიანი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნით საბრუნავი კაპიტალისა და მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტების გარდა დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ლიკვიდურობის საერთო კოეფიციენტისა და მთლიანად კაპიტალის ათვლით. ყურადღება უნდა მიექცეს ფიქსირებულ აქტივებს. ფიქსირებული აქტივები აერთიანებს იმ აქტივებს, რომლებიც გამოიყენებიან ან იქნებიან გამოყენებულნი ფირმის სამეურნეო საქმიანობაში, ე. ი. არ არიან შემენილნი გასაყიდად და რომელთა გამოყენების

ხანგრძლივობა აღემატება საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობას ან 1 წელიწადს (ესენია: მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა და სხვა).

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი წარმოადგენს მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების ჯამურ მნიშვნელობათა თანაფარდობას. იგი ახასიათებს ფირმის მიერ მოკლევადიანი ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზი წარმოაჩენს კომპანიის კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას. ლიკვიდურობის ანალიზის პროცესში განასხვავებენ აქტივების, ბალანსისა და კომპანიის ლიკვიდურობას, რომლებიც ქმნიან კომპანიის ლიკვიდურობის სრულ სურათს.

შპს „ზოდი პლიუსი“-ის ლიკვიდურობის ხარისხის განმსაზღვრელი კრიტერიუმები შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად: (იხ. ცხრილი #2.)

ცხრილი #2. შპს „ზოდი პლიუსი“-ს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები

ლიკვიდურობის ხარისხის მაჩვენებლები	კომპანიის ფულადი საშუალებები
აქტივები:	
A1 - მაღალლიკვიდური აქტივები	შპს „ზოდი პლიუსი“-ს კომპანიის ფულადი საშუალებები და მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებები (ფასიანი ქაღალდები);
A2 - სწრაფად რეალიზებადი აქტივები	დებიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადა 12 თვეს არ აღემატება;
A3 - ნელა რეალიზებადი აქტივები	მარაგები, დებიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს;
A4 - ძნელად რეალიზებადი აქტივები	გრძელვადიანი აქტივები - ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები (ლიცენზია, პატენტი) დაუმთავრებელი მშენებლობა.
ვალდებულებები:	

L1 - მყისიერი ვალდებულებები	კრედიტორული დავალიანებები და ბანკის მოკლევადიანი კრედიტები;
L2 - მოკლევადიანი ვალდებულებები	მოკლევადიანი სესხები და სხვა ვალდებულებები;
L3 - გრძელვადიანი ვალდებულებები	ბანკის გრძელვადიანი სესხები, ვალდებულებები ფინანსური იჯარიდან;
L4 - მუდმივი პასივები	საკუთარი კაპიტალი, რომელიც მუდმივად კომპანიის განკარგულებაშია.

კომპანიის ბალანსის ლიკვიდურობა, რომელიც მართვის ანალიტიკური შეფასების ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენს და არის კომპანიის სტრატეგიული გეგმის რეალური სურათის ამსახველი, განისაზღვრება აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობით. კომპანიის ბალანსის ლიკვიდურობის ხარისხის მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ თუ აქტივები მეტია ან ტოლია პასივებზე, მაშინ ბალანსი ლიკვიდურია.

ცხრილი #3. შპს „ზოდი პლიუსი“-ს ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები

	2016	2017	2018
A1	95 808	100 029	325 639
A2	923 340	1 502 635	1 951 616
A3	5 755 708	6 956 832	9 885 341
A4	4 428 811	5 864 802	14 849 074

	2016	2017	2018
L1	2 885 854	199 600	0
L2	1 886 617	3 661 054	5 228 384
L3	3 528 448	8 437 498	10 892 012
L4	3 000 000	3 000 000	3 000 000

მოცემული რიცხვით მაჩვენებლებიდან აქტივებს და ვალდებულებებს შორის გვაქვს შემდეგი თანაფარდობა წლების მიხედვით:

2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
A1 < L1	A1 < L1	A1 > L1
A2 < L2	A2 < L2	A2 < L2
A3 > L3	A3 < L3	A3 < L3
A4 > L4	A4 > L4	A4 > L4

ამრიგად, შპს „ზოდი პლუსი“-ს ფაქტობრივი მონაცემების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ კომპანიას არ გააჩნია ლიკვიდური ბალანსი.

გადახდისუნარიანობის მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე დადგენილია რომ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც საწარმომ უნდა აღადგინოს გადახდისუნარიანობა არის ექვსი თვე. ეს ნორმა მიღებულია ყველა საწარმოსათვის მათი დარგობრივი დიფერენციაციის მიუხედავად. გადახდისუნარიანობის აღდგენის მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის აუცილებელია ბალანსის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის გაანგარიშება პერიოდის დასაწყისისათვის და ბოლოსათვის. გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტი გაიანგარიშება გამოსახულებით:

$$K_{\text{აღდგ.}} = \frac{K_{\text{დას.}} + \frac{6}{T}(K_{\text{ბოლ.}} - K_{\text{დას.}})}{2}$$

სადაც,  $K_{\text{ბოლ.}}$ - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის ბოლოს;

$T$  - თვეების რაოდენობა საანალიზო პერიოდში (12);

$K_{\text{დას.}}$  - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში;

2 - მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ნორმატიული მნიშვნელობა.

როცა გადახდისუნარიანობის აღდგენის  $K > 1$ -ზე, მაშინ საწარმო გადახდისუნარიანია უახლოესი ექვსი თვის მანძილზე;  $K < 1$ -ზე, ნიშნავს რომ საწარმო ამ დროის განმავლობაში ვერ აღადგენს გადახდისუნარიანობას. ჩვენს შემთხვევაში  $K$  აღდგ. მნიშვნელობა არის 1.185. ამ დებულებისა და გათვლების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შპს „ზოდი პლიუსი“ თავისი პოტენციალით მაღალლიკვიდურ საწარმოებს არ მიეკუთვნება და, შესაბამისად, არ ხასიათდება გადახდისუნარიანობის აღდგენის მაღალი მაჩვენებლით.

გრძელვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი წარმოადგენს გრძელვადიანი აქტივებისა და გრძელვადიანი ვალდებულებების ჯამურ მნიშვნელობათა თანაფარდობას. იგი ახასიათებს ფირმის მიერ გრძელვადიანი ვალდებულებების გადახდის უნარიანობას, რაც ესოდენ საჭიროა ბიზნეს ანალიტიკოსისათვის ამ კუთხით ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით.

საბრუნავი კაპიტალისა და მიმდინარე გრძელვადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტების მნიშვნელობის გამოთვლის დროს აღრიცხვაში უნდა მოხდეს:

- ✓ ლიკვიდურობის კოეფიციენტების ერთდროული გამოთვლა, რათა შესაძლებელი იყოს ფირმის ბიზნესმენებისთვის რეალური ანალიზის ჩატარება მათი ურთიერთ შედარების კუთხით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ისე შევამციროთ ფიქსირებული აქტივები, რომ არ შემცირდეს მისი გადახდისუნარიანობა როგორც მოკლევადიანის, ასევე გრძელვადიანი ვალდებულებების მიმართებაში.
- ✓ ამასთან, შესაძლებელი იქნება საბრუნავი კაპიტალის გამოყენება გადახდის უნარიანობის დასახასიათებლად აღნიშნული ვალდებულებების მიმართ, რაც მიიღწევა ფიქსირებული სხვაობით შესაბამის ვალდებულებებს შორის.

გრძელვადიანი ლიკვიდურობის, ანუ გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ზომავს კომპანიის საოპერაციო მოგებას დაბეგვრის შემდეგ მთლიან ვალდებულებებთან მიმართებაში და ასევე მხედველობაში იღებს ცვეთასაც. ეს არის მნიშვნელოვანი იმ მიზეზის გამო, რომ კომპანიას უხდება განაახლოს, რემონტი გაუკეთოს ან გაცვალოს მოძველებული ან სრულად ამორტიზებული ქონება. ამის გამო წარმოიქმნება მომავალი

დანახარჯების გაზომვის საჭიროება, რომელიც გამოდგება მომავალი ინვესტიციის ანალიზში.

მიმდინარე ლიკვიდურობის, ანუ გადახდისუნარიანობის მსგავსად, ჩვენ შეგვიძლია გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის გამოთვლაც. გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა ნიშნავს გრძელვადიანი სესხების გადახდის შესაძლებლობას/უნარს; მისი ანალიზი კი გვეტყვის შეგვეძლება თუ არა გრძელვადიანი ვალდებულებების დაფარვა გრძელვადიანი აქტივებით.

გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა მნიშვნელოვანია ბიზნესში დასარჩენად და საქმიანობის გასაგრძელებლად გრძელვადიან პერსპექტივაში. კომპანია, რომელიც არის გადახდისუნარო, გაკოტრდება, თუმცა გაკოტრების საშიშროება არსებობს იმ შემთხვევაშიც თუ ის გრძელვადიან პერიოდში გადახდისუნარიანია, ხოლო მოკლევადიანი ლიკვიდურობა არ აქვს საკმარისი.

ეს კოეფიციენტი ასახავს დამოკიდებულებას მთლიან აქტივებსა და მთლიან ვალდებულებებს შორის. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, მით ძლიერია ფირმის ფინანსური მდგომარეობა, და პირიქით.

როგორც ვხედავთ, გრძელვადიან პერიოდში, ფირმის გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ყველაზე მიმზიდველად გამოიყურება 2018 წელს.

## 2.4. საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის ანალიზი

„საყურადღებოა, რომ თუ მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან აქცენტი კეთდებოდა ეკონომიკურ ზრდასა და მომგებიანობაზე, რაც განპირობებული იყო ამ აპერიოდის მანძილზე ინფლაციის 1-დან 5%-მდე გადიდებით, ხოლო კრედიტის საბაზისო განაკვეთის 2,5%-დან 8,5%-მდე გაზრდით. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ეკონომიკის გამოცოცხლება-აყვავებას თან ახლდა გაურკვეველობის პერიოდი, რის გამოც, კომპანიათა ხელმძღვანელების მთელი ყურადღება გადატანილი იქნა ლიკვიდურობაზე.“<sup>1</sup>

დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეული საწარმოს მიერ ამა თუ იმ საშუალებების მართვას. საერთოდ საბრუნავი საშუალებების მართვა გაგებული უნდა იქნეს, როგორც პროცესი, რომელიც ორიენტირებული იქნება იმისკენ, რომ მიღწეული იქნეს ამ საშუალებათა ოპტიმალური, ეფექტიანი გამოყენება, მათი ბრუნვადობის დაჩქარებით.

აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საბრუნავი საშუალებების ეფექტიანად გამოყენებაზე. პირველ რიგში აუცილებელია ოპერატიული კონტროლის განხორციელება შემუშავებული გეგმიური მაჩვენებლების თითოეულ საწარმოო ერთეულამდე, საწარმოს ქვედანაყოფებამდე დაყვანაზე და საწარმოო ვალდებულებათა შესრულებაზე, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მარაგის და დანახარჯის მდგომარეობაზე.

საბრუნავი საშუალებების გამოყენებაზე კონტროლის ერთ-ერთი იარაღია საბრუნავი საშუალებების ანალიზი, რომელიც ძირითადად საბუღალტრო ბალანსის საშუალებით ხორციელდება. ანალიზმა უნდა მოიცვას ისეთი საკითხები, როგორცაა საბრუნავი საშუალებების სტრუქტურა, მათი რაციონალური განლაგება წარმოებისა და მიმოქცევის სფეროების მიხედვით, საკუთარი საბრუნავი საშუალებების, ბანკის კრედიტების გამოყენება, მარაგის და დანახარჯების მდგომარეობა, დებიტორები, კრედიტორები, საწარმოს გადახდისუნარიანობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობა და სხვა. ამასთან აუცილებელია შემუშავდეს ზოგადი პრინციპები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში საწარმოთა საბრუნავი საშუალებების მართვის

<sup>1</sup> რ.კაკულია, ლ. ბახტაძე, გ. თუთბერიძე, კორპორაციის ფინანსები, თბილისი 2009, გვ. 202

შესახებ, რაც ერთგვარი ორიენტირი იქნება საწარმოებში საბრუნავი საშუალებების მართვის ახალი სისტემის დანერგვისათვის. ბიზნესის ეფექტური მსვლელობის უზრუნველსაყოფად მენეჯერები უნდა ცდილობდნენ ამ ხარჯების თავიდან აცილებას. მაშასადამე საბრუნავ კაპიტალზე მიღებულ გადაწყვეტილებას არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული ხასიათი გააჩნია.

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უშუალოდ არის დაკავშირებული იმაზე, თუ აქტივებში ინვესტირებული სახსრები რამდენად სწრაფად გარდაიქმნებიან რეალურ ფულად. სახსრების ბრუნვაში ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია შიდა და გარე მრავალფეროვანი ფაქტორების მოქმედებასთან. გარე ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს საქმიანობის სფერო, დარგობრივი კუთვნილება, საწარმოს ზომა. საწარმოს აქტივების ბრუნვაობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია. სამეურნეო კავშირების გაწყვეტა და ინფლაციური პროცესები იწვევენ მარაგების დაგროვებას და სახსრების ბრუნვის პროცესის შენელებას. შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება საწარმოს ფასების პოლიტიკა, აქტივების სტრუქტურის ფორმირება, სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასების მეთოდის შერჩევა. აქტივების ბრუნვაობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ რამდენი ბრუნვა შეასრულა საწარმოს კაპიტალმა დროის შესაბამის პერიოდში. ფიზიკურად იგი გამოსახავს აქტივის 1 ლარზე მოსული რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას.

ზოგადი სახით აქტივების ბრუნვაობის სიჩქარე განისაზღვრება ფორმულით:

$$K \text{ აქტ.ბრ.} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{აქტივების საშუალო სიდიდე}}$$

ბალანსის მონაცემების მიხედვით საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე} = \frac{O \text{ საწყისი} + O \text{ საბოლოო}}{2}$$

სადაც O საწყისი და O საბოლოო არის აქტივების სიდიდე შესაბამისად პერიოდის დასაწყისში და ბოლოს.

ამის შემდეგ განისაზღვრება ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში:

$$360 / K \text{ აქტ.ბრ.}$$

რაც უფრო მეტია რეალიზაციის მოცულობა, მით უფრო ეფექტურად გამოიყენება აქტივები, უფრო სწრაფია მათი ბრუნვადობა. საწარმოს გადახდისუნარიანობის, ლიკვიდურობის, წმინდა საბრუნავი კაპიტალის მაჩვენებლების გაანგარიშებაში გამოიყენება დებიტორული დავალიანება და მარაგები. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა დებიტორული დავალიანება და მარაგები ნაღდ ფულად.

განვიხილოთ ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტები შპს „ზოდი პლიუსი“-ს მაგალითზე:

$$\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე} = (O \text{ საწყისი} + O \text{ საბოლოო})/2$$

$$\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე (2017)} = 13\,115\,329 \text{ ლარი}$$

$$\text{საბრუნავი აქტივების საშუალო სიდიდე (2018)} = 21\,254\,975 \text{ ლარი}$$

$$K \text{ აქტ.ბრ.} = (\text{ამონაგები რეალიზაციიდან}) / (\text{აქტივების საშუალო სიდიდე})$$

$$K \text{ აქტ.ბრ. (2017)} = 18\,294\,591 / 13\,115\,329 = 1,39$$

$$K \text{ აქტ.ბრ. (2018)} = 20\,124\,050 / 21\,254\,975 = 0,95$$

ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში:  $360 / K \text{ აქტ.ბრ.}$

2017-2018 წლებში აღნიშნული მაჩვენებლები შესაბამისად გვექვს  $365/1,39=262,5$   
და  $365/0,95=384,2$

როგორც ვხედავთ ბრუნვის ხანგრძლივობა გაზრდილია, რაც ცალსახა უარყოფითი მაჩვენებელია.

მნიშვნელოვანია დებიტორული კუთხე, დებიტორული დავალიანების მდგომარეობის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები:

- ✓ დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა;
- ✓ დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი;
- ✓ დებიტორული დავალიანების წილი საბრუნავ აქტივებში;

✓ საექვო დავალიანების წილი.

ჩამოთვლილი მაჩვენებლები გაიანგარიშება ფორმულებით:

$$\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა} = \frac{\text{ამონაგები რეალიზაციიდან}}{\text{საშუალო დებიტორული დავალიანება}}$$

$$\text{საშუალო დებიტორული დავალიანება} = \frac{\text{დებ.დავ.პერ.დას.} - \text{დებ.დავ.პერ.ბოლოს}}{2}$$

დებიტორული დავალიანების დაფარვის პერიოდი

$$= \frac{360}{\text{დებიტორული დავალიანების ბრუნვადობა}}$$

$$\text{საექვო დავალიანების წილი} = \frac{\text{საექვო დებიტორული დავალიანება}}{\text{დებიტორული დავალიანება}} * 100\%$$

საექვო დავალიანების წილი ახასიათებს დებიტორული დავალიანების "ხარისხს". მისი ზრდის ტენდენცია ადასტურებს ლიკვიდურობის შემცირებას.

საწარმოს დებიტორული დავალიანების უფრო ღრმა ანალიზისათვის აუცილებელია დამატებით მოვითხოვოთ მათი გაშიფრვა, სადაც მითითებული უნდა იყოს ცნობები თითოეული დებიტორის შესახებ, დებიტორული დავალიანების თანხა და მათი დაფარვის ვადები. ამასთან, დებიტორული დავალიანების ანალიზის ძირითადი ამოცანაა მისი ლიკვიდურობის შეფასება, ე.ი. საწარმოს ვალების დაბრუნების შეფასება.

დებიტორული დავალიანების მდგომარეობის მართვის საკითხებში შეიძლება ვიხელმძღვანელოთ შემდეგი რეკომენდაციებით:

- ✓ დავალიანების ვადის გადაცილების თავიდან აცილების მიზნით მყიდველებთან ანგარიშსწორების მდგომარეობაზე კონტროლის განხორციელება;
- ✓ ერთი ან რამოდენიმე მსხვილი მყიდველის გადაუხდელობით ზარალის შემცირების მიზნით მყიდველთა წრის გაფართოება;
- ✓ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებაზე კონტროლი (დებიტორული დავალიანების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში დეგება საწარმოს ფინანსური მდგრადობის საშიშროება);

- ✓ ვადამდე გადახდისათვის მყიდველებზე შეღავათების შეთავაზება, რაც ნაწილობრივ ანაზღაურებს ინფლაციიდან მიღებულ ზარალს.

## 2.5. საწარმო-ფინანსური ლევერიჯის შეფასება და ანალიზი

ფინანსური ლევერიჯი იკვლევს კომპანიის სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის კავშირს ფინანსურ შედეგებთან.

საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია მოგების გადიდების მიზნით, ცნობილია, როგორც ფინანსური ლევერიჯის კონცეფცია.

პირდაპირი მნიშვნელობით ლევერიჯი ისეთ ძალას ნიშნავს, რომლის მეშვეობით შესაძლებელია საკმაოდ მძიმე და განსხვავებული საგნების შერევა. ეკონომიკაში ლევერიჯი წარმოადგენს ისეთ ფაქტორს (ძალას), რომლის მცირე ცვლილებამ შესაძლოა შედეგობრივი მაჩვენებლების მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვიოს. ფინანსური ლევერიჯი მარტივად, სესხების სიმძიმეს ნიშნავს. ფინანსური ლევერიჯის დონე იზრდება მაშინ, როცა იზრდება ნებისმიერი ნასესხები სახსრების წილი. ასეთ დროს იზრდება საკუთარი კაპიტალის (რენტაბელობის) ვარიაციული გაქანება (მერყეობა) და ფინანსური რისკი. ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა, საოპერაციო ლევერიჯის მსგავსად, ერთის ზემოთ, რისკის ზრდას ნიშნავს.

საწარმოს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას ახასიათებს ნასესხები სახსრების გრძელვადიანი მოზიდვის კოეფიციენტი, რომელიც სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში სწორედ რომ ფინანსური ლევერიჯის სახელით არის ცნობილი და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი} + \text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}$$

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი იკვლევს კომპანიის სესხებსა და საკუთარ კაპიტალს შორის კავშირს. იგი განსაზღვრავს გრძელვადიანი ვალდებულებების წილს გამოყენებული კაპიტალის თანხაში და მისი ზრდა დინამიკაში უარყოფითი მაჩვენებელია. გამოიყენება ფინანსური ლევერიჯის რამდენიმე კოეფიციენტი, კერძოდ,

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{სესხები} + \text{პრივილეგიური კაპიტალი}}{\text{მთლიან აქტივებს} - \text{მოკლევადიანი ვალდებულებები}}$$

(კაპიტალის ლევერიჯი)

ან

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{სავალ პროცენტები}}{\text{მოგება პროცენტებისა და გადასახადების გამოკლებამდე}}$$

(შემოსავლის, ანუ პროცენტის ლევერიჯი)

ან

$$\text{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$$

ლევერიჯის ყველა კოეფიციენტი ზომავს ერთსა და იმავე სიდიდეს, მაგრამ შესადარისობა მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც კომპანიის მიერ სხვადასხვა საანგარიშგებო პერიოდში ან სხვა კომპანიასთან შედარებისას ერთი და იგივე კოეფიციენტები გამოიყენება.

კაპიტალის ლევერიჯის გაანგარიშება ხდება კომპანიის ბალანსში ნაჩვენები სტრუქტურის შესაბამისად.

ფინანსური ლევერიჯის პირველი მაჩვენებლის მინიმალური ზღვარი ერთის ტოლია. რაც უფრო მეტია ნასესხები წყაროების ხვედრითი წილი, მით მეტი იქნება ამ სესხებზე გადასახდელი პროცენტების ოდენობა, შესაბამისად უარესდება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგი.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ღირებულება გაცილებით რეალურად ასახავს აქციონერთა ან სესხის მფლობელთა ინვესტიციების ღირებულებას, ვიდრე ისტორიული ღირებულება. საბაზრო ღირებულება წარმოადგენს მიუღებელ შემოსავლებს, რომლებიც ინვესტორის მიერ აქციების გაყიდვის შემთხვევაში შემოვიდოდა. იგი ასევე წარმოადგენს თანხას, რომლის გადახდაც მოუწევდა კომპანიას, თუ მას კაპიტალის დაფარვა ენდომებოდა. ამიტომ თუ ინვესტორები სესხისა და საკუთარი კაპიტალის შეფასებას საბაზრო ღირებულებით ახდენენ, მიზანშეწონილია ლევერიჯის გაანგარიშება საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

უმრავლეს შემთხვევაში ლევერიჯის გაანგარიშება ხდება საბალანსო ღირებულებით, რადგან საბაზრო ღირებულებით ყოველთვის ვერ ხერხდება დაფინანსების ყველა წყაროს შეფასება, საბალანსო ღირებულება კი ყოველთვის ცნობილია.

შემოსავლების (ანუ პროცენტების) ლევერიჯის გაანგარიშებისას პრივილეგიური აქციები განიხილება სესხის სახით და შესაბამისად ამ აქციებზე დივიდენდები განიხილება, როგორც სესხის პროცენტი.

ფინანსური ლევერიჯის დონის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მოგებისა და ფულადი ნაკადის ზრდის ტემპები. ზომიერად მზარდი მოგებისა და ფულადი ნაკადების მქონე კომპანიამ უფრო მშვიდად უნდა აიღოს დიდი ვალი, ვიდრე არამყარი და ქაოსური ფულადი სახსრების მქონე კომპანიამ, რის გამოც დეფოლტის შედეგი კომპანიისათვის ძალიან სერიოზულია.

ფინანსური ლევერიჯის გარდა გამოიყენება ოპერაციული ლევერიჯის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება შემდეგნაირად:

$$\text{ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{EBIT-ის\% ცვლილება}}{\text{გაყიდვებიდან ამონაგებრის \% ცვლილება}}$$

სადაც, EBIT არის მოგება პროცენტებამდე და გადასახადებამდე. ალტერნატიული მეთოდით კი ოპერაციული ლევერიჯი შეიძლება გავიანგარიშოთ მუდმივი დანახარჯების შეფარდებით ცვლად დანახარჯებთან

$$\text{ან, ოპერაციული ლევერიჯი} = \frac{\text{მუდმივი დანახარჯები}}{\text{ცვლადი დანახარჯები}}$$

მაღალი ოპერაციული ლევერიჯის მქონე კომპანიას ექნება მაღალი ცვალებადობა EBIT-ში, გაყიდვების ცვლილების დონესთან შედარებით. მაღალი ფინანსური ლევერიჯის მქონე კომპანიას ექნება აქციონერთა უკუგების მაღალი ცვალებადობა EBIT-ს ცვალებადობის დონესთან შედარებით.

ამრიგად, თუ კომპანიის გაყიდვები იცვლება, აქციონერთა უკუგების საუკეთესო ცვლილება განისაზღვრება ოპერაციული ლევერიჯის დონის მიხედვით. არსებობს გარკვეული ბალანსი ოპერაციულ და ფინანსურ ბერკეტებს შორის.

ფინანსური მდგრადობის შეფარდებით მაჩვენებელს წარმოადგენს საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$\text{საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი} = \frac{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}{\text{საბრუნავი სახსრები}}$$

ეს მაჩვენებელი ახასიათებს საწარმოს ფინანსური მდგრადობისათვის აუცილებელი საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის ხარისხს. რეკომენდებულია მისი მნიშვნელობა 0.1-დან 0.5-მდე.

ფინანსური კოეფიციენტები გავაანალიზოთ შპს „ზოდი პლიუსი“-ს 2016-2018 წლების მონაცემების მიხედვით (ცხრილი #4).

ცხრილი #4. შპს „ზოდი პლიუსი“-ს ფინანსური კოეფიციენტები

№	მაჩვენებლები	2016 წ.	2017 წ.	2018 წ.	რაოდენობრივი ცვლილება საბაზისო 2016 წელთან შედარებით		პროცენტული ცვლილება საბაზისო 2016 წელთან შედარებით (%)	
					2017 წ.	2018 წ.	2017 წ.	2018 წ.
1	აქტივები	11 466 379	14 764 279	27 745 672	3 297 900	16 279 293	29	142
2	გრძელვადიანი აქტივები	4 428 811	5 864 802	14 849 074	1 435 991	10 420 263	32	235
3	მიმდინარე აქტივები	7 037 568	8 899 477	12 896 598	1 861 909	5 859 030	26	83
4	საკუთარი კაპიტალი	3 000 000	3 000 000	3 000 000	0	0	0	0
5	გრძელვადიანი ვალდებულებები	3 528 448	8 437 498	10 892 012	4 909 050	7 363 564	139	209
6	მიმდინარე ვალდებულებები	4 772 471	3 860 654	5 228 384	-911 817	455 913	-19	10
7	საკუთარი საბრუნავი სახსრები (3-6)	2 265 097	5 038 823	7 668 214	2 773 726	5 403 117	122	239
8	საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი (4:1)	0,26	0,20	0,11	-0,06	-0,15	-22	-59
9	ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი ((5+6):1)	0,72	0,83	0,58	0,11	-0,14	15	-20

10	სახსრების მობილურობის კოეფიციენტი (3:2)	1,59	1,52	0,87	-0,07	-0,72	-5	-45
11	საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი (4:(5+6))	0,36	0,24	0,19	-0,12	-0,18	-33	-49
12	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (5/(5+4))	0,54	0,74	0,78	0,20	0,24	36	45
13	საკუთარი სახსრებით უზრუნველყოფი ს კოეფიციენტი (7/3)	0,32	0,57	0,59	0,24	0,27	76	85
14	საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი (7:4)	0,76	1,68	2,56	0,92	1,80	122	239
15	ფინანსური დამოკიდებულე ბის კოეფიციენტი (1/4)	3,82	4,92	9,25	1,10	5,43	29	142
16	სახსრების მანევრირების კოეფიციენტი (36):3	0,32	0,57	0,59	0,24	0,27	76	85
17	გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი (5/2)	0,80	1,44	0,73	0,64	-0,06	81	-8

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი საგრძნობლად მაღალია დასაშვებ მინიმალურ ზღვარზე. კერძოდ, 0.5-ზე, კოეფიციენტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება და განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი გვაქვს 2018 წელს.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი მიუთითებს, რომ 2016-2017 წლებში, აქტივების სტრუქტურა გაუმჯობესებულია. 2017 წელს სახსრების მობილურობის

კოეფიციენტი გაზრდილია, ხოლო 2018 წელს-ძალიან მაღალი. საერთოდ, ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტი 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაზრდილია, რაც გარე ინვესტორებზე დამოკიდებულების ზრდის მაჩვენებელია და არასასურველია, მაგრამ კოეფიციენტი 2018 წელს 0.7052 -ით შემცირდა და თითქმის საწყის პოზიციას დაუბრუნდა.

საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი ძალიან დაბალია, 1-ს ვერ აღწევს, თანაც ნელ-ნელა უარესდება.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი უარესდება 2016-2018 წლებში, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი გამოყენებული კაპიტალის საერთო თანხაში იზრდება, 2018 წელს ეს გაუარესება უმნიშვნელოა ხოლო 2017 წელს მკვეთრად გაიზარდა. რაც ბუნებრივია, არასასურველი შედეგია.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება. გაუმჯობესება მკვეთრია 2018 წელს.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი მცირედი გაუარესებით ხასიათდება. 2017 წელს 0,06-ით შემცირდა, ხოლო 2018 წელს კიდევ 0,01-ით მოხდა, შემცირება მცირე თუმცა, არასასურველი, ვინაიდან საკუთარ სახსრებს ნასესხები სახსრები აღემატება.

ნასესხები სახსრების კონცენტრაციის კოეფიციენტი 2016 წლიდან 0.5-ს აღემატება, რაც არასასურველია. ამავე დროს კოეფიციენტის ზრდის მაჩვენებელი გვაქვს 2017 წელს 0.8-ს აღწევს. რაც ნასესხები სახსრების უპირატეს ხვედრით წილსა და ამ უკანასკნელის ზრდაზე მიუთითებს. 2018 წელს კოეფიციენტი 0,25-ით შემცირდა, რაც მნიშვნელოვნად 2018 წელს აქტივების ზრდით არის გამოწვეული.

საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი 2016 წელსაც არ გვაქვს ძალიან დაბალი და რაც მთავარი მკვეთრი ზრდა გვაქვს 2017-2018 წლებში. 2017 წელსვე საგრძნობლად მაღალია კოეფიციენტი, დასაშვებ მინიმალურ ზღვარზე, 1-ზე მეტიც კი. 2018 წელს კი რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 2,5 ნიშნულამდე გაიზარდა.

სახსრების მობილურობის კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდება, 2016 წელს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გვაქვს, შემდეგ კი საგრძნობლად იკლებს, რაც

მიუთითებს, რომ აქტივების სტრუქტურა დარღვეულია და დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა.

გრძელვადიან დაბანდებათა სტრუქტურის კოეფიციენტის ზრდა გვაქვს 2016-2017 წლებში და ამავე დროს მნიშვნელოვანი ზრდა. ასეთი მნიშვნელობა გარე ინვესტორებზე დამოკიდებულების ზრდის მანიშნებელია და არასასურველია. 2018 წელს კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები გაიზარდა, მაგრამ პარალელურად აქტივების მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი.

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 2016 წლიდან 2018 წლებში გაუმჯობესებულია. ამ პერიოდში საწარმო საკუთარი სახსრებით სულ უფრო მეტად არის არის უზრუნველყოფილი, მაგრამ არა საკმარისად.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი იზრდება 2016-2018 წლებში, რადგან გრძელვადიანი ვალდებულებების ხვედრითი წილი გამოყენებული კაპიტალის საერთო თანხაში იზრდება, ხოლო საკუთარი კაპიტალი უცვლელი რჩება. ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა ნამდვილად არ წარმოადგენს სასურველ მოვლენას. ფინანსური ლევერიჯის დონეზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები:

- ✓ მფლობელთა დამოკიდებულება რისკისადმი - რისკისადმი მფლობელთა არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებისას უპირატესობა ენიჭება მცირე რისკს და შესაბამისად, შემოსავლიანობის შემცირებულ ნორმას. შემოსავლიანობის მცირე ნორმა დიდად სახარბიელო არ არის, მაგრამ რისკის დაბალი დონე მაღალ სტაბილურობას ნიშნავს და ეს უფრო მისაღები სიტუაციაა, ვიდრე პირიქით.
- ✓ მენეჯერთა დამოკიდებულება რისკისადმი – მენეჯერები ბიზნესში მნიშვნელოვანი „ადამიანური კაპიტალის“ ინვესტირებას ახდენენ და დამოკიდებული არიან კომპანიის ფინანსურ კეთილდღეობაზე. ამიტომ მათი განწყობა ლევერიჯის მაღალი დონისადმი შეიძლება უარყოფითი იყოს, რადგან სამუშაო ადგილისა და შემოსავლების დაკარგვის საშიშროება შეექმნებათ. მიუხედავად ამისა, თუ მათ ფინანსურ სტიმულებს სთავაზობენ, ისინი მზად არიან თავის თავზე მაღალი ფინანსური რისკის ასაღებად. ანუ მენეჯერები, რომელთა ფინანსური

წახალისებაც დამოკიდებულია აქციონერთა შემოსავლიანობაზე, მზად არიან მიიღონ ლევერიჯის მაღალი დონე.

- ✓ კრედიტორების დამოკიდებულება კომპანიისადმი - კრედიტორებს აღეგულებათ კომპანიის უნარი დროულად გადაიხადონ პროცენტები სავალო ვალდებულებებზე. ამ გარემოებებზე გავლენას ახდენს რენტაბელობა, ფულადი სახსრების გენერირების უნარი, კრედიტის უზრუნველყოფა, მუდმივი დანახარჯები, სააქციო კაპიტალის ხელმისაწვდომობა.

საერთოდ, ლევერიჯის დონე უფრო მაღალია იმ დარგებში, სადაც შემოსავალი შედარებით სტაბილურია. მაგალითად, მომსახურების სფეროში, რომელზეც ნაკლებ გავლენას ახდენს ეკონომიკური ციკლი, მომხმარებელთა გემოვნების ცვლილებები და ა.შ. ვიდრე ეკონომიკის სხვა სფეროებში.

ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად სპეციალურ ეკონომიკურ ლიტერატურაში შემოთავაზებულია გარკვეული რეკომენდაციები კომპანიის მიერ თავისი ფინანსური შესაძლებლობების შესაფასებლად, რომლის საფუძველზეც კომპანიამ უნდა ჩამოაყალიბოს თავისი სამოქმედო გეგმა, შეაფასოს, განიხილოს და გადააფასოს თავისი ფინანსური მდგომარეობა სამოქმედო გეგმასთან მიმართებაში. ასეთი ანალიზი დიდ ძალისხმევას და შრომას საჭიროებს, მაგრამ აუცილებელია. თავისი ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად კომპანიამ მის მიერ გასაწევი ხარჯები კატეგორიების მიხედვით უნდა დაყოს იმის დასადგენად, თუ რომელი ხარჯი და რა რაოდენობით სჭირდება.

მომდევნო ეტაპზე საწარმომ უნდა განსაზღვროს მიმდინარე პერიოდის მიზნები და ამოცანები და მის მიერ უკვე განსაზღვრული საჭიროებების ბიუჯეტი. დასახული მიზნების შესრულებაში იგულისხმება ის ღონისძიებები და დანახარჯები, რომელიც ამისთვის არის აუცილებელი.

აღნიშნულის, შემდეგ კომპანიამ უნდა შეადგინოს სამოქმედო გეგმა, რომელიც თავისი პოზიციების გამყარებასა და საჭიროებების უკეთ განსაზღვრაში დაეხმარება. ბიზნესის ზომაზე მეტად გაფართოება გარკვეულ პრობლემებს უქმნის საწარმოს,

ამიტომ სამოქმედო გეგმა ისე უნდა დაისახოს, რომ ის მაქსიმალურ შესაბამისობაში მოდიოდეს არსებულ ფინანსურ შესაძლებლობებთან.

ყველაზე შრომატევადი და საპასუხისმგებლო ეტაპი დასახული გეგმის განხორციელებაა. და ბოლოს, კომპანიამ კიდევ ერთხელ უნდა გადახედოს და განიხილოს მის მიერ დასახული გეგმის განხორციელების მიმდინარეობა.

ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად აუცილებელია შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი კომპანიის შესაძლებლობები, მოთხოვნილებები და ვალდებულებები.

## 2.6. გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკა

სამრეწველო საწარმოთა ფინანსური პრობლემების განხილვას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. მიუხედავად ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით გატარებული ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ პრობლემები არსებობს, რომლებიც საწარმოთა საქმიანობაში არსებულ შეფერხებებს, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში არსებულ ხარვეზებს, საბრუნავი სახსრების უკმარისობას და სხვა სახის ნაკლოვანებებს უკავშირდება.

ფინანსური პრობლემების მქონე საწარმოები ვერ ახორციელებენ ინვესტიციებს, ვერ იღებენ კრედიტებს, ვერ იხდიან გადასახადებს, ამიტომ ეს უკანასკნელი საწარმოების გაკოტრებას, აქედან გამომდინარე, უმუშევრობისა და არამსყიდველობითუნარიანი მოსახლეობის რიცხვის ზრდას იწვევს.

არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა მიუთითებს საწარმოს მიერ ფინანსური შესაძლებლობების დაკარგვაზე. ამ დროს ჯერ კიდევ შესაძლებელია საწარმოს სრული ფინანსური კრაზისაგან ხსნა.

„გაკოტრება“ საწარმოს ფინანსური შესაძლებლობების სრულად დაკარგვას და მისი საქმიანობის გაგრძელების მიზანშეუწონლობას ნიშნავს. მას არა აქვს თავისი გადახდისუნარიანობის აღდგენის უნარი. ეს საწარმოს ისეთი მდგომარეობაა, როდესაც მას არ გააჩნია სოციალური მნიშვნელობა, მისი ეკონომიკური და საწარმოო პოტენციალი და მის მიერ გამოშვებული პროდუქცია არ არის კონკურენტუნარიანი. ეს უკვე „დაღუპული“ ორგანიზმია, ამიტომ ექვემდებარება ლიკვიდაციას და გაყიდვას, რათა დაკმაყოფილდეს კრედიტორთა მოთხოვნები.

საწარმოს გადახდისუნარობა შეიძლება სხვადასხვა დროს დადგეს, ან ისეთი გარე ფაქტორებით იყოს განპირობებული, როგორცაა დებიტორების მიერ გადახდის ვადების გადაცილება, საბანკო გზავნილების შეფერხება, საწარმოს ფინანსური მექანიზმის ნაკლოვანებები. ფინანსური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია საწარმოთა სანაცით. სანაცია არის გაკოტრების საფრთხის წინაშე მდგარი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ფინანსური და საკრედიტო

ლონისძიებათა სისტემა. სანაციის საფუძველს წარმოადგენს საწარმოს გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობათა არსებობა.

საწარმოს გაკოტრება მომენტალურად არ ხდება, ეს პროცესი გარკვეული ეტაპებისაგან შედგება. თავდაპირველად იწყება საწარმოს ყველა ფუნქციონალური შემადგენელი ელემენტის მნიშვნელოვანი პარამეტრების ქრონიკული დარღვევები, კერძოდ, პროდუქციის მოცულობის მკვეთრი შემცირება, არახელსაყრელი ცვლილებები პროდუქციის ასორტიმენტში, კონკურენტებისა და კლიენტურის შემადგენლობაში, პრობლემები საწარმოს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ უზრუნველყოფაში. მომდევნო ეტაპი ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენლის პარამეტრების ქრონიკული დარღვევებით.

პრობლემები იქმნება საწარმოს ძირითადი საშუალებებით, ნედლეულით, მასალებით, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფაში. ადგილი აქვს ნედლეულისა და მასალების არაეფექტურად გამოყენებას. საწარმოს ფინანსური მდგომარეობა მძიმეა, ამოწურულია საწარმოს ფინანსური პოტენციალი და მკვეთრად ეცემა საწარმოს ფინანსური აქტივობა, და ბოლოს, იწყება საწარმოს `კრიზისი“, რომელიც ხასიათდება ყველა ფუნქციონალური შემადგენლის მრავალი მაჩვენებლის კრიტიკული მნიშვნელობით. კერძოდ, ბაზარზე საწარმოს პროდუქციაზე მოთხოვნა არ არსებობს, ძირითადი საშუალებების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და მათი არაეფექტიანი გამოყენება ფიქსირდება, ტექნოლოგიები მოძველებულია და არ არსებობს მათი განახლების საშუალება, საწარმო ზარალიანია და გადახდისუნარო, ე.ი. საწარმოს არა აქვს უნარი შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებანი ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე, საწარმოს ფინანსური სიმწიდეების გამწვავებისას, ანუ კრიზისის დადგომამდე, როცა საწარმოს უკვე უჭირს თავისი ფინანსური ვალდებულებების შესრულება, ეკონომიკის სისტემის სხვადასხვა აგენტების წინაშე წარმოქმნილი ყველა პრობლემა თავს იყრის საწარმოს შიგნით. იმ მომენტიდან, როდესაც საწარმოს უნარი არ შესწევს გაუმკლავდეს მის წინაშე წარმოქმნილ პრობლემებს, მოქმედებას იწყებენ საბაზრო ეკონომიკის მიერ გამომუშავებული მექანიზმები, რომელთა ფარგლებში საწარმო ვალდებულია მანამ

გააგრძელოს ფუნქციონირება ბაზარზე, სანამ არ დაფარავს ვალდებულებებს კრედიტორების წინაშე.

ფინანსური კრიზისის დადგომისას, იურიდიულად დასტურდება საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების ფაქტი.

საწარმოს გაკოტრებისაკენ სვლა შეიძლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდეს და ამ პროცესის ეტაპებიც თავისი ხანგრძლივობით შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ გაკოტრების რამდენიმე სახეს:

- ✓ საწარმოს რეალური გაკოტრება, ანუ საწარმოს უუნარობა, აღიდგინოს თავისი გადახდისუნარიანობა, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის რეალური დანაკარგების გამო. კაპიტალის დანაკარგების მაღალი დონე, დიდი ოდენობის კრედიტორული დავალიანებები საწარმოს არ აძლევს ნორმალური სამეურნეო საქმიანობის განხორციელების საშუალებას. ამ შემთხვევაში ხდება საწარმოს ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია;
- ✓ დროებითი (პირობითი) გაკოტრება ხასიათდება საწარმოს გადახდისუუნარობით, რომელიც გამოწვეულია კრედიტორული დავალიანებების მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებით, ასევე დიდი ოდენობის დებიტორული დავალიანებებითა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგებით, ამასთან საწარმოს აქტივების ღირებულება აღემატება მისი ვალების ოდენობას;
- ✓ წინასწარ განზრახული გაკოტრება ხასიათდება საწარმოს ხელმძღვანელებისა და მესაკუთრეების მიერ მისი გადახდისუუნარობის მდგომარეობის შექმნით მისთვის ეკონომიკური ზიანის მიყენების მიზნით პირადი ან მესამე პირის ინტერესებისათვის;
- ✓ ფიქტიური (ცრუ) გაკოტრება - საწარმოს მიერ ცრუ განცხადების გაკეთება მისი გადახდისუუნარობის შესახებ კრედიტორებისათვის თვალის ახვევის მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს მათგან ვალების გადახდის გადავადება, ან დათმობების მიღება, ან ბაზარზე მოთხოვნის არმქონე მზა პროდუქციის ან საქონლის გადაცემა ვალის დასაფარავად.

საწარმო აბსოლუტურად გადახდელუნარიანად ითვლება მაშინ, როდესაც მისი საკუთარი კაპიტალით სრულად იფარება ვალდებულებები. გარდა ამისა, ზოგჯერ საწარმოს საკუთარი კაპიტალი გააჩნია, მაგრამ ეფექტურად მხოლოდ ნასესხები წყაროებით ფუნქციონირებს. ასეთ შემთხვევაში იგი გადახდისუნარიანი თავისი შემოსავლების წყალობითაა, კრედიტორები კი კმაყოფილდებიან პროდუქციასა და მომსახურებაზე დადგენილ ვადაში ანგარიშსწორებით.

საწარმოს პოტენციური გაკოტრების შეფასება შესაძლებელია მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე.

რაოდენობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ვალდებულებების სააქციო კაპიტალთან და აქტივებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი, ფულადი საშუალებების მთლიან ვალდებულებებთან თანაფარდობის დაბალი დონე, დაბალი რენტაბელობა, საბრუნავი კაპიტალის აქტივების მთლიან თანხასთან თანაფარდობის დაბალი დონე, მოგების, აქციების ფასის, ობლიგაციების ფასების მკვეთრი შემცირება, მუდმივი დანახარჯების საერთო დანახარჯებთან თანაფარდობის მაღალი მაჩვენებელი.

ხარისხობრივ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: ფინანსური ანგარიშგების მომზადების ცუდი სისტემა და ხარჯების კონტროლირების უუნარობა, საწარმოს გამოუცდელობა, არაკვალიფიციური მართვა, კომერციული რისკის მაღალი დონე, თაღლითობები, სახელშეკრულებო პოლიტიკა.

ფინანსური კოეფიციენტების თანაფარდობის ანალიზი, როგორც გაკოტრების დადგენის მეთოდი, პირველად 1966 წელს გამოიყენა სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ვ.ჰ. ბივერმა. თავის გამოკვლევებში იგი სათითაოდ ადარებდა გადახდისუნარო საწარმოების მაჩვენებლებს ნორმალურად მომუშავე საწარმოების იგივე კოეფიციენტებთან და დაადგინა, რომ გაკოტრებამდე ბევრად ადრე, კერძოდ 5 წლით ადრე შეიმჩნევა ნიშნები, რომლებიც გაკოტრების მოახლოების დადგენის საშუალებას იძლევა.

ბივერმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც შედგებოდა 29 კოეფიციენტისაგან და 5 წლის განმავლობაში აკვირდებოდა იმ კომპანიებს, რომლებიც გაკოტრდნენ და ადარებდა საკონტროლო ჯგუფის იმ კომპანიებს, რომლებიც არ გაკოტრებულან. მისი

მიზანი იყო ეჩვენებინა რომელი კოეფიციენტები შეიძლება გამოვიყენოთ გაკოტრების პროგნოზირებისათვის და რამდენი წლით ადრე შეიძლება გაკეთდეს ასეთი პროგნოზები.

ამ კვლევის შედეგების ილუსტრირება შესაძლებელია ცხრილი#5-ის სახით.

ცხრილი # 5. გაკოტრების პროგნოზირება ბივერის მოდელის მიხედვით

	მაჩვენებლები	განგარიშების მეთოდიკა	გაკოტრება არ არის მოსალოდნელი	სავარაუდო გაკოტრება 1 წლის შემდეგ	სავარაუდო გაკოტრება 5 წლის შემდეგ
1	ბივერის კოეფიციენტი	წმინდა მოგება+ამორტიზაცია ნასესხები კაპიტალი	$\geq 0.4$	$0.17 \leq K \leq 0.39$	$\leq 0.16$
2	აქტივების რენტაბელობა	წმინდა მოგება აქტივები	$\geq 6$	$1.9 \leq R \leq 2.9$	$\leq 2$
3	ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	ნასესხები კაპიტალი აქტივები	$\leq 3.5$	$34 \leq F \leq 79$	$\geq 80$
4	წმინდა საბრუნავი საშუალებების აქტივებით გადაფარვის კოეფიციენტი	საკუთარი კაპიტალი-ძირითადი საშუალებები აქტივები	$\geq 0.4$	$0.3 \leq C \leq 0.2$	$\leq 0.1$
5	მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებები	$\geq 3.2$	$3.1 \leq L \leq 1.9$	$\leq 2$

მოცემული ფორმულირებითა და სპს ზოდი პლიუსის მონაცემებით გვაქვს სემდეგი მდგომარეობა:

ბივერის კოეფიციენტის მნიშვნელობა მერყეობს 0.17-სა და 0.39-ს შორის, შესაბამისად, ამ მაჩვენებლის მიხედვით გაკოტრება მოსალოდნელია 1 წლის შემდეგ.

აქტივების რენტაბელობის 2018 წლის მაჩვენებელი  $< 2$ -ზე, ანუ უხლოეს მომავალში არ უნდა ველოდოთ გაკოტრებას.

ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი  $< 3.5$ , შესაბამისად გაკოტრება არ არის მოსალოდნელი.

წმინდა საბრუნავი საშუალებების აქტივებით გადაფარვის კოეფიციენტზე გვეუბნება, რომ გაკოტრებას ჯერ არ უნდა ველოდოთ, რაც შეეხება მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტს, გვანიშნებს, რომ 1 წელიწადში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფინანსურ სირთულეებს.

გაკოტრების რისკის დიაგნოსტიკისათვის ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორის ედვარდ ალტმანის მიერ თავდაპირველად შემოთავაზებულ იქნა ორფაქტორიანი მოდელი. შეირჩა ორი მაჩვენებელი, რომელზეც, ალტმანის აზრით, დამოკიდებულია საწარმოს გაკოტრების ალბათობა. კერძოდ, მიმდინარე ლიკვიდურობისა და ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტები. ამ მოდელს ასეთი სახე ჰქონდა:

$$Z = -0.3877 - 1.0736 * K1 + 0.0579 * K2, \text{ სადაც,}$$

$K1$  \_ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი;

$K2$  \_ ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ამ მოდელის მიხედვით,

1. თუ  $Z = 0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ის ტოლია;

2. თუ  $Z < 0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%-ზე ნაკლებია;

3. თუ  $Z \geq 0$ , მაშინ გაკოტრების ალბათობა 50%,-ზე მეტია და იზრდება  $Z$ -ის ზრდასთან ერთად.

მოგვიანებით ფართოდ გავრცელდა ე.ალტმანის ხუთფაქტორიანი მოდელი, რომელიც წარმოადგენს ლიკვიდურობის, ფინანსური მდგრადობის, რენტაბელობის, საკუთარი კაპიტალის დაფარვის მაჩვენებლების მიხედვით შედგენილ ფუნქციას, რომელიც ახასიათებს საწარმოს ეკონომიკურ პოტენციალს და გასულ პერიოდში მისი საქმიანობის შედეგებს. ზოგადად კრედიტუნარიანობის ინდექსს აქვს შემდეგი სახე:

$$Z = 3.3 * K1 + 1.0 * K2 + 0.6 * K3 + 1.4 * K4 + 1.2 * K5$$

სადაც, მაჩვენებლები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$K1$  = მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე / აქტივების ჯამი

$K2$  = მოგება რეალიზაციიდან / აქტივების ჯამი

$K_3 = \text{საკუთარი კაპიტალი} / \text{მოზიდული კაპიტალი}$

$K_4 = \text{დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება} / \text{აქტივების ჯამი}$

$K_5 = \text{საკუთარი საბრუნავი სახსრები} / \text{აქტივების ჯამი}$

აღნიშნული ინდექსის კრიტიკული მნიშვნელობა ე.ალტმანის მიერ გაანგარიშებული იქნა სტატისტიკური შერჩევის საფუძველზე და შეადგინა 2.675. კონკრეტული საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასებისას გაანგარიშებული აღნიშნული მაჩვენებელი უნდა შეუდარდეს ზემოაღნიშნულ მნიშვნელობას. ამით შესაძლებელია დადგინდეს მოსალოდნელი გაკოტრება მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, თუ  $Z < 2.267$  ან საკმარისად მყარი ფინანსური მდგომარეობა, თუ  $Z > 2.267$ .

შპს „ზოდი პლიუსი“-ს შემთხვევაში, კოეფიციენტის ხუთ ფაქტორიან მოდელს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

$$K_1 = 2\,607\,104 / 27\,745\,671 = 0.0939$$

$$K_2 = 20\,124\,050 / 27\,745\,671 = 0.7253$$

$$K_3 = 3\,000\,000 / 2\,573\,295 = 1.1658$$

$$K_4 = 2\,573\,295 / 27\,745\,671 = 0.0927$$

$$K_5 = 7\,668\,214 / 27\,745\,671 = 0.2764$$

$$Z = 3.3 * K_1 + 1.0 * K_2 + 0.6 * K_3 + 1.4 * K_4 + 1.2 * K_5 = 3.3 * 0.0939 + 1 * 0.7253 + 0.6 * 1.1658 + 1.4 * 0.0927 + 1.2 * 0.2764 = 2.1961$$

ალტმანის 5 ფაქტორიანი მოდელის თანახმად, მოსალოდნელია გაკოტრება 2-3 წლის განმავლობაში.

მიუხედავად ცალკეული მაჩვენებლების გაუარესებისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა არ არის კრიზისული და გაკოტრების საშუალო რისკით ხასიათდება.

## დასკვნა

ფინანსური ანალიზის საფუძველზე კომპანიის მენეჯმენტს შეუძლია მართოს მენეჯმენტის გადაწყვეტილებები და პოტენციური ინვესტორები, კრედიტორები. სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დასკვნები გააკეთონ კომპანიის ფინანსური სტაბილურობის, საიმედოობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ.

სტაბილური ფინანსური მდგომარეობა მიიღწევა საკმარისი კაპიტალის, მომგებიანობის საკმარისი დონის საშუალებით. აუცილებელია საოპერაციო და ფინანსური რისკის გათვალისწინებითა და კონტროლი, ლიკვიდურობის საკმარისი მოცულობა, სტაბილური შემოსავლები და ფართო შესაძლებლობები მომხმარებლების მოსაზიდად.

ფინანსური საქმიანობის ძირითად მიზანი ერთი სტრატეგიული მიზნისკენ უბიძგებს მენეჯმენტს - კომპანიის აქტივების გაზრდა. ამისათვის აუცილებელია შეინარჩუნოს გადახდისუნარიანობა და მომგებიანობა, ასევე აქტივისა და ვალდებულებების ბალანსის ოპტიმალური სტრუქტურა.

საკვლევ თემაზე მუშაობის პროცესში გაანალიზებულ იქნა შპს „ზოდი პლიუსი“-ს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის კრიტერიუმები. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა ძირითადი მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციები, გამოვლინდა ამ ცვლილებების გამომწვევი მიზეზები და გაკეთდა შესაბამისი დასკვნები.

შპს „ზოდი პლიუსი“-ს 2016-2018 წლების მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ძირითადი და საბრუნავი საშუალებების სტრუქტურაში მოხდა არასასურველი ცვლილებები, გაიზარდა დებიტორული დავალიანებების ამოღების პერიოდი, პარალელურად მნიშვნელოვნად გაიზარდა გრძელვადიანი ვალდებულებები. დებიტორების მიერ ვალების დაგვიანებით გადახდის გამო კომპანიას არ გააჩნდა საკმარისი ფულადი საშუალებები კრედიტორული დავალიანებების დასაფარავად, მარაგების ბრუნვალობა შენედა, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდურობის მაჩვენებელთა მკვეთრი გაუარესების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ფულადი

საშუალებებისა და მისი ექვივალენტების უკმარისობისა და კრედიტორული დავალიანებების ზრდის თავიდან აცილების ღონისძიებათა განხორციელება. ასევე აუცილებელია, გადახდისუნარიანობის აღდგენის, საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების კონცენტრაციის, საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობისა და საქმიანი აქტივობის კოეფიციენტების არასასურველი მაჩვენებლების თავიდან აცილების მიზნით ფულადი სახსრების მოზიდვის ღონისძიებათა განხორციელება.

რეალიზაციის მოცულობის სხვა მნიშვნელოვანი უარყოფითი გაავლენის მქონე მაჩვენებლებთან შედრების პროპორციულად არ იცვება და პარალელურად ადმინისტრაციული ხარჯების მკვეთრი ზრდა კომპანიების მხრიდან სათანადო რეაგირებას საჭიროებს. აუცილებელია რეალიზაციის მოცულობის ზრდის უზრუნველყოფა, სათანადო სარეკლამო ღონისძიებათა გატარება, ამავე დროს, გაუმართლებლად დიდი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება. კომპანიების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული მოგების მკვეთრი შემცირება ვალდებულებების ზრდის პირობებში.

ალტმანის მოდელის მიხედვით გაანგარიშებული პროგნოზირებით დადგინდა, რომ საანალიზო პერიოდის განმავლობაში შპს ზოდი პლიუსი გაკოტრების საშუალო რისკით ხასიათდებოდა.

საწარმოს ლიკვიდურობის განმსაზღვრელი ფაქტორების (საქმიანობის მომგებიანობა, საინვესტიციო დაბანდებები, საფინანსო პოლიტიკა, საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტიანობა) განხილვის შემდეგ შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნები:

დამოკიდებულება მომგებიანობას, ლიკვიდურობას და რისკს შორის არის ცალსახა:

- 
1. მომგებიანობა იცვლება ლიკვიდურობის საწინააღმდეგო პროპორციულობით. გაზრდილი ლიკვიდურობა ძირითადად ხდება შემცირებული მომგებიანობის ხარჯზე.
  2. მომგებიანობა იცვლება რისკთან ერთად. მაღალი მომგებიანობა დაკავშირებულია მაღალ რისკებთანაც.

საინვესტიციო და საფინანსო პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლიკვიდურობაზე. არ უნდა მოხდეს საინვესტიციო პროგრამების დაფინანსება მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე; რეკომენდებულია გრძელვადიანი ვალდებულებების მოზიდვა ბრუნვისგარეშე აქტივების დასაფინანსებლად, ხოლო მოკლევადიანი კრედიტებისა კი – საბრუნავ საშუალებებზე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა ორგანიზაციის მოკლევადიანი ფინანსური დაგეგმვისთვის დამახასიათებელია ისიც, რომ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება შეიძლება მოხდეს გრძელვადიანი წყაროებითაც;

რაც შეეხება საბრუნავი საშუალებების მართვის ეფექტიანობას, საბრუნავი კაპიტალის მართვის ეფექტიანობის გაზრდა იწვევს ლიკვიდურობის გაუმჯობესებას, და პირიქით. საბრუნავი კაპიტალის ეფექტიანობით მნიშვნელოვნად განისაზღვრება კომპანიის საერთო ეფექტიანობა. საბრუნავი საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლება კი ხდება მათი სწორი ორგანიზებით. აუცილებელია, რომ თითოეულ საწარმოსა და ორგანიზაციაში დადგინდეს საბრუნავი საშუალებების რაციონალური სტრუქტურა, მიღწეული იქნეს წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, მატერიალურ და დანარჩენ აქტივებში დაბანდებულ საბრუნავ საშუალებებს შორის არსებული თანაფარდობის მკვეთრი გაუმჯობესება ზედმეტი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა შემცირებით, გაგზავნილი საქონლისა და ჩაბარებული სამუშაოების ღირებულების და დანარჩენი დებიტორული დავალიანების ამოღებით და შემდგომისათვის ანგარიშსწორების მოწესრიგებით.

მაშასადამე, შპს ზოდი პლიუსის მაგლითზე მიმდინარე აქტივების კლასიფიკაციის გათვალისწინებით გამოთვლილ იქნა შემდეგი მაჩვენებლები: მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი და აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი. კოეფიციენტი 2016–2018 წლებში ზრდადია. მართალია, უმეტესად კოეფიციენტი დინამიკაში ზრდადია, რაც კარგის ნიშანია. თუმცა, მეორე მხრივ, მიმდინარე აქტივების ნაწილი შესაძლებელია ისე იქნას ინვესტირებული, რომ გაიზარდოს ფირმის მომგებიანობა და ლიკვიდურობასაც საფრთხე არ შეექმნას.

გარდა მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტისა, მნიშვნელოვანია გრძელვადიანი გადახდისუნარიანობის კონტროლი, რომელსაც ბევრი კოეფიციენტი ზომავს.

ლიკვიდურობის კოეფიციენტების ერთდროული გამოთვლა, რათა შესაძლებელი იყოს ფირმის ბიზნესმენებისთვის რეალური ანალიზის ჩატარება მათი ურთიერთ შედარების კუთხით, რომელიც საშუალებას მოგვცემს ისე შევამციროთ ფიქსირებული აქტივები, რომ არ შემცირდეს მისი გადახდისუნარიანობა როგორც მოკლევადიანის, ასევე გრძელვადიანი ვალდებულებების მიმართებაში.

ამასთან, შესაძლებელი იქნება საბრუნავი კაპიტალის გამოყენება გადახდის უნარიანობის დასახასიათებლად აღნიშნული ვალდებულებების მიმართ, რაც მიიღწევა ფიქსირებული სხვაობით შესაბამის ვალდებულებებს შორის.

და ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების ანალიზისას შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე პრობლემა: ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იწვევს საანგარიშგებო ინფორმაციის დამახინჯებას, არის ინფლაცია, რომელიც გავლენას მარაგების შეფასებაზეც, ინფლაცია დღესდღეობით მეტად აქტუალური საკითხია, რაც ანალიზის პროცესში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

## შპს „ზოდი პლიუსი“-ს დანართები

დანართი #1. შპს ზოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4 428 811	5 864 802	14 849 074
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>	<b>4 428 811</b>	<b>5 864 802</b>	<b>14 849 074</b>
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	95 808	100 029	325 639
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	923 340	1 502 635	1 951 616
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	262 712	339 980	734 001
მარაგები	5 755 708	6 956 833	9 885 341
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>	<b>7 037 568</b>	<b>8 899 477</b>	<b>12 896 597</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>11 466 379</b>	<b>14 764 279</b>	<b>27 745 671</b>
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	3 000 000	3 000 000	3 000 000
გადაფასების რეზერვი			9 051 681
გაუნაწილებელი მოგება	3 165 160	2 465 827	2 573 295
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>3 165 460</b>	<b>2 466 127</b>	<b>11 625 276</b>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	3 528 448	8 437 498	10 892 012
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>	<b>3 528 448</b>	<b>8 437 498</b>	<b>10 892 012</b>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1 886 617	3 661 054	5 228 384
მოკლევადიანი სესხები	2 885 854	199 600	-
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>	<b>4 772 471</b>	<b>3 860 654</b>	<b>5 228 384</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>8 300 919</b>	<b>12 298 152</b>	<b>16 120 396</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>11 466 379</b>	<b>14 764 279</b>	<b>27 745 671</b>

დანართი #2. ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგება

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:</b>			
მომხმარებლიდან მიღებული ფულადი სახსრები	14 591 708	20 705 436	29 380 733
სავაჭრო ვალდებულებებზე გაცემული ფულადი სახსრები	-8 484 310	-16 113 024	-28 601 138
თანამშრომლისთვის და ფ/პ მომსახურებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-1 219 659	-1 797 187	-2 148 184
დღგ და სხვა გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	-2 451 360	-3 067 870	-3 839 430
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები	-72 879	-345 719	405 230
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები</b>	<b>2 363 501</b>	<b>-618 364</b>	<b>-4 802 789</b>
მოგების გადახდილი გადასახადი -	-		
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>2 363 501</b>	<b>-618 364</b>	<b>-4 802 789</b>
<b>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>			
ძირითადი საშუალებების შეძენა დღგ-ს ჩათვლით	-1 712 693	-164 678	177 680
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	-	29 668	
საბანკო ანაბარზე დარიცხული პროცენტი	68	271	298
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>-1 712 625</b>	<b>-134 739</b>	<b>177 978</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების მიღება	6 305 124	11 230 737	14 004 278
სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების დაფარვა	-4 863 856	-9 302 015	-12 789 894
გადახდილი დივიდენდი	-1 495 809	-56 906	-2 165
გადახდილი პროცენტი	-581 915	-733 564	-924 733
<b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>	<b>-636 458</b>	<b>1 138 252</b>	<b>287 486</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	-10 198	-159 539	-245 851
<b>ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა კლება</b>	<b>4 221</b>	<b>225 610</b>	<b>508 724</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში</b>	<b>95 808</b>	<b>100 029</b>	<b>104 436</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>100 029</b>	<b>325 639</b>	<b>613 160</b>

დანართი #3. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საოპერაციო შემოსავალი	12 976 067	18 294 591	20 124 050
საოპერაციო ხარჯები	-7 966 118	-11 841 158	-13 025 274
<b>საერთო მოგება</b>	<b>5 009 949</b>	<b>6 453 433</b>	<b>7 098 776</b>
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-2 835 930	-4 919 890	-3 411 879
<b>საოპერაციო მოგება</b>	<b>2 174 019</b>	<b>1 533 543</b>	<b>3 686 897</b>
ფინანსური ხარჯები	-582 790	-739 636	-613 600
წმინდა საკურსო ზარალი	-787 416	-673 394	-540 733
არასაოპერაციო შემოსავალი	82 346	113 657	155 023
არასაოპერაციო ხარჯები	-10 955	-66 803	-80 483
<b>მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე</b>	<b>875 204</b>	<b>167 367</b>	<b>2 607 104</b>
მოგების გადასახადი	-	-	-
წლის მოგება	875 204	167 367	2 607 104
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	9 051 681	10 956 849
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>	<b>875 204</b>	<b>9 219 048</b>	<b>13 563 953</b>

დანართი #4. კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	3 000 000	3 165 160	6 165 160
წლის მოგება	0	875 203	875 203
გაცემული დივიდენდი	0	-1 574 536	-1 574 536
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	3 000 000	2 465 827	5 465 827
წლის მოგება	0	167 368	167 368
გაცემული დივიდენდი	0	-599	-599
გადაფასების რეზერვი		9 051 681	9 051 681
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	3 000 000	11 624 976	14 624 976

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ი.ჭელიძე. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი. 2011 წ.
2. მ. ჯიქია. ფინანსური ანალიზი; ლექციების კურსი (საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით)
3. ა. ინგოროყვა, გ. ცაავა. ფინანსური მენეჯმენტი. თეორია, მეთოდები და პრაქტიკა, ტ. I, თბ., 2011
4. ხ. ბარბაქაძე, „ლიკვიდობისა და რენტაბელობის მაჩვენებლების დაბალანსების შესახებ“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ 2012 წელი, #2; გვ. 155-165;
5. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვახოვიჩი, უმცრ. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009.
6. „საბრუნავი კაპიტალის, მიმდინარე და გრძელვადიანი ლიკვიდობის კოეფიციენტების გამოთვლის მნიშვნელობა აღრიცხვაში“, ლალი სადაღამვილი, ბიზნესი და კანონმდებლობა, 2009 წ.
7. ი.ფრანგიშვილი, „საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის სრულყოფის მიმართულებები საქართველოს მრეწველობაში“, თბ., 2012
8. ე. მექვაბიშვილი, “თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები”, 2011.
9. მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრების სამართალში (დამხმარე სახელმძღვანელო), მე-3 გადამუშავებული გამოცემა. გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2006.
10. შპს ზოსი პლიუსის ფინანსური ანგარიშგების მასალები
11. „MANAGEMENT ACCOUNTING”, M.E. Thukaram rao, published by New Age International (P) Ltd., Edition 2003
12. evergreen.tsu.ge